პაატა კოლუაშვილი

ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით

თბილისი 2013

UDC (უაკ) 821.353.1.092 (ჭავჭავაძე ილია)
კ-799

ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

© პაატა კოლუაშვილი
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013

SBN 978-9941-10-701-6

სარჩევი

რედაქტორისაგან 5
წინათქმა 9
ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით 10
ილია ჭავჭავაძის გამონათქვამები: დაკვირვებები,
განჭვრეტები, შეფასებები 79
მიწის შესახებ 79
გლეხკაცის შესახებ 81
სოფლის მეურნეობის შესახებ 84
ღვინის შესახებ 86
განათლების, მეცნიერებისა და შრომის შესახებ 87
ისტორიისა და პოლიტიკის შესახებ 90
ერისა და სარწმუნოების შესახებ 92
ბოლოთქმა 98
გამოყენებული ლიტერატურა 99

იქნება არცერთ მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“.

იაკობ გოგებაშვილი

„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც მასთან ერთად უკვდავი იქნები“.

აკაკი წერეთელი

„ძველ და ახალ თაობას, ილია ჭავჭავაძის მეოხებით, გამორკვეული დარჩა საერთო მოქმედების ასპარეზი და ეს სწორედ ის ასპარეზია, ნაყოფი პოლიტიკური ცხოვრებისა, რომლზედაც თავისუფლად მოთავსდებიან ძველის, ახალის და მომავალ თაობის წარმომადგენელნი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საერთო შრომის საჭიროებას ილია ჭავჭავაძემ ჩაუგდო საფუძველი...“

არჩილ ჯორჯაძე

„ილია ჭავჭავაძე მარტოოდენ დიდი მწერალი როდი იყო, ამგვარი ადამიანები შორეულ ეპოქებში ეროვნებებს აფუძნებდნენ, ალფაბეტებს გამოიგონებდნენ ხოლმე, ზოგს ერის ბელადი ერქვა, ზოგს წინასწარმეტყველი“.

კონსტანტინე გამსახურდია

„ილია იყო საუკუნეებში ნაჭედი ბედი ჩემი ერისა“.

გრიგოლ რობაქიძე

„ზეციური საქართველოს მკვიდრი, მიწიერი საქართველოს თანამდევი ილიას ნათელი, უკვდავი სული ჭეშმარიტად დღესაც თავს დაგვტრიალებს“.

ილია II

რედაქტორისაგან

ნათქვამია: არის ისეთი საგნები, რომლებსაც მით უფრო მაღალს დაინახავ, რაც უფრო მაღლიდან შეჰხედავ. კაეკასიონის მთებს რომ ბარიდან აჰყურებთ, მხოლოდ მათ თოვლიან გვირგვინს ხედავთ. მაგრამ თუ მაღალ მთაზე ახვედით და თვალი გაუსწორეთ უშბას და მყინვარს, თეთნულდს და შხარას, მაშინღა შენიშნავთ მთელ მათს გოლიათურ სხეულებს, რომლებისთვისაც — მათი მწვანე კალთებით, კლდოვანი ფერდებითა და კედლებით — მარადი თოვლი მხოლოდ მათ თავზე დადგმული ელვარე გვირგვინია და სხვა არაფერი. ასეა სამშობლოც, მისი მიწაც, წყალიც, დედაენაც თავისი განუმეორებელი ჟღერადობის ბგერებით (ფონეტიკით) და ასევე განუმეორებელი „სამყაროს სურათით“ (ანუ სიტყვათა და ცნებათა იმ სისტემით, რომლითაც ამ სამყაროს ვიმეცნებთ), ისტორიაც, ადგილიც მსოფლიო რუკაზე და ეროვნულ წარმატება-წარუმატებლობათა ის მრავალსაუკუნოვანი ამბავიც, რომელიც თაობებში გვახსოვს. ბუნებით ზერელე ან გონებით პრიმიტიული ადამიანი ყოველსავე ამას მკრთალი ჩრდილიეით ხედავს, როგორც რაღაცას უცაბედად თვალმოკრულსა და შემთხვევითს, ღრმა ბუნების ადამიანი — როგორც თავისი ვინაობისა და რაობის დედაძარღვს, რომელიც მისს პირად არსებობა-არარსებობაზე შეუდარებლად უფრო ღირებულია და ამ არსებობას აზრს ანიჭებს. ილია ჭავჭავაძე უნიკალურად ძლიერი ინტელექტისა და ცხოველი განცდის კაცი იყო, ამიტომ იგი სამშობლოს როლსა და მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში მთელი სისრულით ხედავდა და, როგორც

უხინჯოდ თავმოყვარე პიროვნება, ღეთის ხატად და მსგავსად შექმნილი, მისთვის ბრძოლას თავის მოვალეობად რაცხდა. ილია ჭავჭავაძის აზროვნების, გრძნობისა და უდრეკი პატრიოტული ტემპერამენტით აღბეჭდილი პრაქტიკული მოღვაწეობის ლოგიკური სქემა, ძირითად ხაზებში, ასეთია:

ილია ჭავჭავაძე ღრმად მორწმუნე ქრისტიანია, ამიტომ ურყევად იცის ის უპირველესი ჭეშმარიტება ამ სოფლად ადამიანთა იერარქიის შესახებ, რომელიც კაცობრიობას ქრისტემ გვასწავლა: რომ თუმცა ადამიანები უთანასწორონი ვართ ერთმანეთისა ძალით, ჭკუით, სილამაზით, ჯანმრთელობით, მრავალნაირი ტალანტებით და ასე შემდეგ, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ისეთი პარამეტრებიც (განზომილებებიც) გვაქვს ჩვენი პიროვნებისა, რომლებშიც თანასწორნი ვართ. ყველაზე მთავარი ჩვენთვის სწორედ ეს პარამეტრებია: ცოდვა-მადლის გარჩევის უნარი, თავისუფალი ნება, თავმოყვარეობა, სიკეთე, სიმყარე მორალში და ასე შემდეგ. ამ ცოდნას ემყარება ქართველი ერის უნიკალურად მაღალი კულტურა რიგით კაცად ყოფნისა და ამავე დროს იმ ურყევი ცნობიერების შენარჩუნებისა, რომ, თუ გამართული რიგითი კაცი ხარ, ამით უმაღლესი ღირსების პიროვნებაც ხარ („კაცი ვარ და ქუდი მხურავს“). ამ უნიკალურად მაღალ კულტურას, თავის მხრივ, ემყარება, ისტორიულადვე, იმის ცნობიერება, რომ რიგითი კაცი თავისი პიროვნული ფსიქოლოგიური თვითდამკვიდრებისათვის არ საჭიროებს სხვებს, როგორც დაჩაგერის ან მათზე გაბატონების ობიექტებს. საქართველოს საზოგადოება, ტრადიციულად, თვითკმარია და ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ საქართველოს არც დღევანდელ ტერიტორიაზე, არც ისტორიულზე, რომელიც მასზე თითქმის ორჯერ დიდია, არ არის

წერტილი, სადაც ქართველი ერი ავტოხთონური არ იყოს, ანუ ისეთი ადგილი, რომელიც ხელუხლებელი ბუნების მდგომარეობიდან განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდებარეობამდე მიეყვანოს სხვას და არა ქართველს. იგივე ფაქტორი განაპირობებს იმასაც, რომ ქართველი ერის ძირითადი მიმართება გარე სამყაროსთან არის შრომა, და იმასაც, რომ ილია ჭავჭავაძისა და მისი გამოჩენილი მიმდევრების კონცეფცია ქართველი ერის სოციალურ ფენათა ფსიქოლოგიური და კულტურული შერწყმისა მისი ავტორების თვალში არის რეალისტური პრაგმატული გეგმა და არა უტოპია. ამ ეროვნული ტრადიციული ფუძე-განწყობიდან გამომდინარეობს სრულებით უნიკალური ბმულობა ამ ერისა თავისი შრომისა და თავისი რჩენის ერთადერთ საშუალებაზე – მიწაზე და მის მრავალმხრივ საარსებო ფუნქციებზე მთასა და ბარში, და ასევე გამომდინარეობს მისი უნიკალური სიმედგრე თავისი ამ მიწის დაცვაში. ილია ჭავჭავაძის ამ ძალიან ღრმა ისტორიულმა და სოციო-ფსიქოლოგიურმა ანალიტიკამ, ერთის მხრივ, და თავისი თანამედროვე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური აზრის ღრმა ფლობამ (ინტუიციასთან ერთად), მეორეს მხრივ, ილია ჭავჭავაძეს საშუალება მისცა ამოეცნო სტრატეგია საქართველოს მტრების ცდისა, რომ ქართველი ერისთვის მისი ეკონომიკური და ფსიქოლოგიური საარსებო ბაზა – მიწა – წაერთმიათ, რათა ამით ერთხელ და შეუქცევადად გადაეჭრათ მისი სიცოცხლის ძარღვი. ამიტომაც იდო თავს დიმიტრი ყიფიანის იდეის გაგრძელება და სათავეში ჩაუდგა, საზოგადოების დაჟინებული თხოვნით, საადგილმამულო ბანკს. იგივე შემოტევა იმავე ძალის მხრიდან გრძელდება დღესაც, ოღონდ დღეს დედამიწაზე, რომლის მოსახლეობა მას შემდეგ გახუთკეცებულია,

ვითარება უფრო რთულია და ბრძოლის მეთოდებიც – უფრო რთული. ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი თავის მძაფრ პუბლისტიკაშიც და თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც (ბანკის მართვის სახით) ილია ჭავჭავაძემ სწორედ მიწისთვის უიარაღო ომის თემებს დაუთმო.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და აგრარული პოლიტიკის ფართოდ ცნობილი ქართველი სპეციალისტის, ფუნდამენტური გამოკვლევების ავტორისა და პუბლიცისტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, პროფესორ პაატა კოღუაშვილის წინამდებარე წიგნი უნიკალურია ორი რამით: პირველი, იმით, რომ იგი სისტემურ აღწერასა და ანალიზს იძლევა იმ თანმიმდევარი პოლიტიკისას ქართველი ერისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის წართმევის მიმართულებით, რასაც რუსეთის იმპერია ატარებს საქართველოს ანექსიის დასაწყისიდან დღემდე და რასაც დღეს არაერთი სხვა ანალოგიური მცდელობა ახლავს სხვათა მხრიდანაც, მეორე, იმით, რომ ავტორს ცალკე და თავისთავად თემად აქვს პროცესის პუმანიტარული მხარე – არაფიზიკური და არაეკონომიკური ბერკეტები იძულებისა, რომლებიც გამოიყენებოდა და გამოიყენება დასახული მიზნის მისაღწევად. როგორც სპეციალური მომზადების მქონე, ისე მასობრივი მკითხველის მხრიდან – ვისთვისაც კი საქართველოს აწმყო და მომავალი ბედი სერიოზული დაფიქრების საგანია – ეს წიგნი არა თუ ჩაღრმავებულ ყურადღებას, არამედ შტუდირებას და სამაგიდო წიგნად გამოყენებას იმსახურებს.

ნოდარ ნათაძე

წინათქმა

როგორც მწერალს, ილია ჭავჭავაძეს სკოლის მერხიდან ესწავლობთ. მოგვიანებით, სიჭაბუკეში ეუბრუნდებით, რადგან ის განცდა დიდი სიყვარულისა, ტკივილისა და პასუხისმგებლობისა ქვეყნის წინაშე მოგვიანებით გვეწვევა ხოლმე. რაც შეეხება პუბლიცისტიკას, იგი სასკოლო პროგრამაში გათვალისწინებული არ იყო. მხოლოდ მცირე გამონაკლისს ჰხედა წილად ბედნიერება, გასცნობოდა მას და ახალი კუთხით აღმოეჩინა ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე. ჩემი უშუალო პროფესიიდან გამომდინარე, ყველაზე მძაფრად განცდილი ჩემთვის ის თემები იყო, რომელშიც ილია საქართველოს აღიარებდა უძველესი სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების ქვეყნად და მისი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად სოფლის მეურნეობის აღორძინებას მიიჩნევდა. ათეული წლების გასელის შემდეგ საკმაოდ უხეი მასალა დავაგროვე და მოწიწებით მოვკიდე ხელი ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას. შევეცადე პარალელები გამეველო თანამედროვეობასთან. ეს იდეა მიმზიდველად მიიჩნიეს და თავიანთი გამოცდილება გამიზიარეს ქართული საზოგადოებისათვის ცნობილმა სასულიერო და საერო მოღვაწეებმა: ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი), პროტოპრესვიტერმა გიორგიმ (ზვიადაძე), მამუკა გიორგაძემ, ვახტანგ გურულმა, გია მალაშხიამ, გია მურღულიამ, ნოდარ ნათაძემ, ოთარ ჟორდანიამ, ნოდარ ჭითანავამ. თანადგომისა და მხარდაჭერისათვის განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავ მათ მიმართ.

ვფიქრობ, XXI საუკუნის თაობა ისეთივე ინტერესით გაეცნობა ჩვენს მოსაზრებებს და სათანადო დასკვნებს გამოიტანს დიდი ილიას როლსა და წინასწარმეტყველებაზე, რომელმაც უდიდესი გაელენა მოახდინა XX საუკუნის ქართული აზროვნების ჩამოყალიბებაზე.

პაატა კოლუაშვილი

ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით

პიროვნების როლი ისტორიაში რომ დიდია, ყველამ იცის. მაგრამ რამდენად დიდია, ამას ყველა ერთნაირად ვერ გრძნობს. შესაბამისად, ვერც საკუთარ პასუხისმგებლობას გრძნობს ერთნაირი სიმძაფრით. პიროვნებას შეუძლია საზოგადოებას სწორი გზა უჩვენოს ან ვერ უჩვენოს და გამარჯვების მომტანი კადრი გაზარდოს ან ვერ გაზარდოს, განსაცდელის ჟამს შედრკეს ან არ შედრკეს, თავის თანამემამულეებს წინ მაგალითად ჩაუდგეს ან ვერ ჩაუდგეს. ამგვარი „გამორჩეულნი, გვიღვიძებენ ჩვენ, დანარჩენებს სწავლის სურვილს, განგვაწყობენ სამოქმედოდ, გვიმძაფრებენ შექმნის ჟინს და გვიდასტურებენ „უკეთესი ქვეყნის“ არსებობას. ასე რომ, ვიდრე იარსებებს კაცობრიობა, ისინიც, გამორჩეულნიც, ყოველთვის სამაგალითონი და მისაბაძნი იქნებიან. ხოლო რაც მათ ცალ-ცალკე შეუქმნიათ თავიანთ ქვეყნებში, საერთო, საყოველთაო სახელმძღვანელოა, საიდანაც ნებისმიერი მსურველი, უპირველეს ყოვლისა, იმას იგებს, თუ როგორი უნდა იყოს თავად“ (ო. ჭილაძე). ასეთი წინამძღოლი პიროვნებაა ჩვენთვის სიცოცხლეშივე ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე, ილია მართალი.

მავანს ჰგონია, რომ წარსული იყო და დამთავრდა. მაგრამ წინაპრებმაც გვასწავლეს და თანამედროვეობაც გვიდასტურებს, რომ არსებობს ისეთი წარსულიც, რომელიც იწყება და არასდროს აღარ მთავრდება, რადგან ის მჭიდროდ უკავშირდება ერის გენეტიკურ და ცნობიერ რაობას.

მიწის დამუშავება, მცენარეთა ჯიშების გამოყვანა,

ცხოველთა მოშენება და მოვლა-პატრონობა სხვადასხვა წესებისა და მეთოდების გამოყენებით შეადგენს ადამიანთა უძველესი კულტურის ერთ არსებით ელემენტს. ამასთან, იგი არის არა მხოლოდ ბუნების საგნების დამუშავება და მოპოვება, არამედ ადამიანის მიზანმიმართული ზემოქმედებაც საკუთარ სულიერ უნარზე. ფრენსის ბეკონი მოძღვრებას სულის მართვისა და აღზრდის შესახებ უწოდებს „სულის გეორგიკას“ – სულის მიწათმოქმედებას – სულის გარდაქმნას, მიწის დამუშავების მსგავსად.

რას ნიშნავს მიწა, მიწათმოქმედება და მათთან კულტურული მიმართება ქართველი კაცისთვის? როგორ უკავშირდება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი იმ სფეროს, რომლის სახელსაც (გეორგია) ატარებს ჩვენი ქვეყანა? რა ეკონომიკური და სულიერი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობას ჩვენთვის? როგორ უკავშირდება ერთმანეთს ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკური და ზნეობრივი ასპექტები?

ამ კითხვებზე ფიქრისას ბუნებრივად იწვევს წინ დიდებული სახელი ილია ჭავჭავაძის. მისი ღვაწლი და მნიშვნელობა საქართველოში სახალხოდ და სამუდამოდ აღიარებულია.

დღეს, როდესაც ეროვნულ მეურნეობათა მოდელების კონკურენცია საყოველთაო ფაქტია, ქართველთა დიდი წინამძღვრის, ილია ჭავჭავაძის ნაფიქრალსა და წინადადებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკის, სამეურნეო განვითარების სრულფასოვანი მოდელის გააზრებისა და ამოქმედების თვალსაზრისით. ილიამ ამ მიმართულებითაც ფიქრის ახალი კულტურა შექმნა საქართველოში, რაც ისტორიისა და ტრადიციის შესანიშნავ ცოდნას ეფუძნებოდა.

სახელმწიფო ნორმალურად ვერ ფუნქციობს მთისა და ბარის, მატერიალურისა და სულიერის, კეთილდღეობისა და სნეობის ჰარმონიული თანაარსებობისა და გონიერული ბალანსის გარეშე. ამ ბალანსის ძიება და პოვნაა დიდი ქართველის, ილია ჭავჭავაძის ფიქრის საგანი და შედეგი.

ილია ჭავჭავაძისათვის ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი განვითარება ეროვნული მეობის საერთო ფესვიდან ამოზრდილი ყლორტებია. ამ თვალსაზრისით, მიწის განცდა ქართველი კაცისათვის მისი საერთო მსოფლაღქმის უშუალო გამოვლენაა. სოფლის მეურნეობის გააზრებისა და მოწყობის ქართული მოდელის საწყისები სწორედ ქართველის ზოგად-კულტურულ ვინაობასა და რაობაში უნდა ვეძიოთ. სწორედ ამის გაცნობიერებამ მიიყვანა ილია და მისი შემდგომი მოღვაწენი „საერთო მოქმედების“ იდეამდე – ეროვნული საზრისის მხედველი ადამიანებისთვის დიდი თუ მცირე საქმე ყოველთვის ზემოხსენებული საწყისების კონტექსტში განიხილება. ვფიქრობ, ეს განაპირობებს თაობათა მენტალურ ერთობასაც. ამ თვალსაზრისის გამოელენად უნდა მიეიჩნიოთ არჩილ ჯორჯაძის სიტყვებიც: „ძველ და ახალ თაობას, ილია ჭავჭავაძის მეოხებით, გამორკვეული დარჩა საერთო მოქმედების ასპარეზი და ეს სწორედ ის ასპარეზია, – ნაყოფი პოლიტიკური ცხოვრებისა, – რომელზეც თავისუფლად მოთავსდებიან ძველის, ახალის და მომავალი თაობის წარმომადგენელნი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საერთო შრომის საჭიროებას ილია ჭავჭავაძემ ჩაუგდო საფუძველი...“

ილია ჭავჭავაძეს გაცნობიერებული ჰქონდა ქართველთათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი სახელის აზრობრივი დატვირთვა, როგორიცაა „გიორგი“, „გეორგიანელი“. ილიასთვის ცნობილი იყო, რომ ქართველები უძველესი

დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების მქონე ერი ვართ. თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „უძველესთა შინა, რომელთამე ჩვენთა და ვიეთთამე სხვათაცა მემატიანეთა აღწერილთა იპოვების მოთხრობანი ესე სახედ, ვინათგან პირველყოელისა მუშაკობანი მიწისანი შემოღებულ არიან მათგან“. მიწა ქართველთა ცნობიერებაში „შეურყვნელი“, „შეუბღალავი“, „სუფთა“ და „წმიდაა“. „წმიდა ნაკეთი“ გაღვთიურებულია წარმართულ საქართველოში. ქართველთა, ისე როგორც შუმერთა წარმოდგენით, მიწა დედურ საწყისს განასახიერებს. იაფეტური, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება იყო დედა. იგი განასახიერებდა ბუნების მაცოცხლებელ ძალებს. ამ კულტისადმი მიძღვნილი რიტუალები დღემდეა შემორჩენილი სვანეთში.

ილია ჭაჭავაძისათვის მამულის სიყვარული და ერთგულება ქართველთა ეროვნული რაობის ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. „ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თეისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თაეის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნეის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის“. ქართველები მიწაზე დამკვიდრებული ერია; ქართველის მიწასთან უღალატო კავშირშია ქვეყნის სიძლიერე. „ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეა“, – წერდა ილია.

ქართველები სამიწათმოქმედო ციეილიზაციის შექმნის სათაეებში იდგნენ და მიწათმოქმედება მათთეის არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურება იყო. ჩვენი წარსული და მომავალი განპირობებული და გაშინაარსებულია

მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური და ემოციური საწყისებით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობების თავისებურებებიდან გამომდინარეობს. „ჩვევები ერისათვის იგივე რჯულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუწერელი“ (ილია). („ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“, ხალხური ანდაზა).

ქართველი ერის სპეციფიკა, მომდინარე მისი გენეტიკური კოდიდან, ასახვას პოულობს ტრადიციებში, რომლებიც განსაკუთრებული ეთნოგრაფიული თავისებურებებითა და ეპოქის კვალობაზე მოწინავე რაციონალიზმით წარმართავენ ცხოვრების სამეურნეო სფეროს, რამაც უსრუნველყო ქართველთა უძველესი და უმთავრესი საქმიანობის – სოფლის მეურნეობის – გადაქცევა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საძირკვლად.

„ქართველების ძალა ძველის-ძველ დრომდე მიწის შემუშაებაა, მეურნეობაა, ჩვენი ძალა იმთავითვე სოფელი იყო“, – ბრძანებდა ილია. ერის მამას კარგად ესმოდა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. კულტურულად, სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ჩვენი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია.

მრავალფეროვან ბუნებასთან ჰარმონიულად შეთანასწორებული ქართული ცხოვრების წესი იყო ის ძალა, რომელიც\ მტრისაგან გაველანებულ საქართველოს კვლავ ფეხზე აყენებდა. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: „საკვირველი ეს არის, რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას? რა ჰკეებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა?“ და

პასუხსაც იქვე იძლეოდა: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყაროებში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გაძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“.

სამეურნეო ცხოვრებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ურთიერთგადაჯაჭვულობის ასეთიე ღრმა ცოდნით ილია დასძენდა: „ვაუკაცობა უნდოდა, ვაუკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!... იმ დროთა ჩარხზე გამოჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი... ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გექონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“. დღეს ამას მოკლედ ვიტყვით: ქართველი ერი თავისი მთელი ისტორიის მანძილზე შრომისა და ბრძოლის მართვის მოწინავე ტექნოლოგიებს ფლობდა. დასკვნა ნათელია.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ, უპირველესად, ქრისტიანობა გავრცელდა იმ ქვეყნებში, სადაც მეენახეობა იყო განვითარებული; ამიტომ ქართველობამ უყოყმანოდ მიიღო პურითა და ღვინით ქრისტიანული ზიარების საიდუმლო; ამასთან მეღვინეობასა და ქართულ სუფრას შეუნარჩუნა განსაკუთრებული დატვირთვა. ქრისტიანობას სასიკეთოდ შეერწყა უძველესი ქართული ტრადიციები და წარმართულ ჩვეულებათა ის ღირებულებები, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს გამოხატავდა. ქრისტიანობა იქცა ქართული ზნე-ხასიათის

საყრდენ ღერძად, რომლის ირგელივ ბრუნავს ჩვენი ეროვნული ცნობიერება. აღნიშნულთან დაკავშირებით ილია ბრძანებდა: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. ქრისტიანობა პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“.

ქართველი ერის ტრადიციული აგრარული კულტურა, როგორც ცნობილია, წინააზიურ კულტურულ სივრცეში ყალიბდებოდა. იგი სამართლიანად ითვლება უძველესი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. აქ თავდაპირველად შექმნილი მეურნეობისა და მეურნეობრიობის ფორმები შემდგომში საფუძვლად დაედო ევრაზიის მთელ ტერიტორიაზე (სამხრეთ-აღმოსავლეთის გამოკლებით) მოგვიანებით წარმოშობილ აგრარულ სამეურნეო-კულტურული კომპლექსების სხვადასხვა ტიპებს, რომლებიც ძირითადად მარცვლეულის მეურნეობაზე, მევენახეობა-მეღვინეობაზე, მეხილეობაზე, სხვადასხვა სახეობის პირუტყვის მოშენებასა და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტების მოხმარებაზე იყო დაფუძნებული.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს, მისი ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი მრავალფეროვნების გამო, აგრარულ ქვეყნად მიიჩნევდა: „ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი – იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის-მოქმედებასთან“.

საქართველოს გეოგრაფიული გარემო, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა განაპირობებდა მთისა და ბარის ეკონომიკური ზონების ფორმირებას,

სოფლის მეურნეობის გაძღოლის სპეციფიკურ თავისებურებებს, რაც ბუნებათსარგებლობის პრინციპებს, ნიადაგდაცვით მიწათმოქმედებასა და ბუნებრივ-კულტურულ მეცხოველეობას ეფუძნებოდა.

ჩვენი საწარმოო მასშტაბების მქონე ქვეყანას ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე, რადგან, მისი მცირემიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გააკეთოს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ სასურსათო პროდუქციის უნებლობასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე. ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ აგროეკოლოგიური წარმოების ის ტრადიციები და უნიკალური წესები, რომლებიც თანხვედრაში მოვა თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ეს საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია (მით უმეტეს, რომ საქართველოში შექმნილია მსოფლიოში უნიკალური, მაღალეფექტიანი ბიოპრეპარატი „ბიორაგი“, რომელიც უზრუნველყოფს კულტურათა ეკოლოგიურად სუფთა და 2-3 ჯერ მაღალ მოსავლიანობას. იგი ასევე წარმატებით გამოიყენება მეცხოველეობაში). ასეთი მიდგომა გამართლებულია, მით უმეტეს, რომ უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები და გარემო, ხალხის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვა ფაქტორების კომპლექსი ქმნის ქართული აგრარული მეურნეობის შედარებით უპირატესობას. ეს უპირატესობა საქართველოს მთიანეთს აქვს.

მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ეკოლოგიურ ეკონომიკაზე დაფუძნებულ (ბიო) ორგანულ პროდუქტებზე. ამიტომ თვით აშშ-ც კი ამ გზას დაადგა ეხლახან, როცა პაქტი გააფორმა ევროკავშირთან

ბიოპროდუქტების წარმოება-სერტიფიცირების საკითხზე. საქართველომ უნდა დაიწყოს ახალი მოძრაობა: **„(ბიო) ორგანული მწვანე რევოლუცია!"**

***

ილია ჭავჭავაძემ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ლიბერალურ-დემოკრატიულ ეროვნულ მოძღვრებას, რომელიც მისი და შემდგომი თაობების სამოქმედო პროგრამის ქვაკუთხედად იქცა. არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით, „ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-პოლიტიკურ მოძღვრებას არამც თუ თანაუგრძნობთ, პირიქით, ჩვენს ეროვნულ მოძღვრებადა ესთელით".

ილია ჭავჭავაძე ითვალისწინებს ზოგადეროვნულ ინტერესებს და, აქედან გამომდინარე, ცდილობს ასწავლოს ქართველ ერს თავად-აზნაურობისა და გლეხობის ერთობლივი შრომისა და ბრძოლის ორგანიზაცია ამ ინტერესებისათვის. ჩატეხილი ხიდის გამთელების ამოცანა, ანუ წოდებათა კულტურული და ადამიანური დაახლოების ამოცანა, ილია ჭავჭავაძის პროგრამის ერთ-ერთი არსებითი ელემენტია. ილია ჭავჭავაძისათვის მთავარი პოლიტიკური კატეგორია და მთავარი სოციალური კატეგორია არის ერი და არა საზოგადოების კლასი თუ ფენა. ილიას ეს თვალსაზრისი, როგორც მას შემდეგ ჩაველილმა ისტორიამ დაამტკიცა და თანამედროვეობა უფრო და უფრო ამტკიცებს, სავსებით სწორია.

ადამიანი ქმნილებათა გვირგვინია, სამყაროს მწვერვალია. ამას გვეუბნება ჩვენი სარწმუნოება და ამასვე გვეუბნება მეცნიერება. ადამიანი ვერ განიხილება, როგორც საშუალება რაღაც მიზნისთვის – იგი უნდა განიხილოთ მხოლოდ, როგორც მიზანი. ეს არის ყოველივე მორალის პირველი საფუძველი (იმ. კანტი). გლეხის

მოწოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვს, მოიყვანოს პური, მწვანილი, ხილი და ყურძენი. მისი პირველი დანიშნულება და მოწოდებაა ის, რომ იყოს – იყოს, როგორც ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, შვილების გამზრდელი და საზოგადოების გამომკვებავი. ქართველი გლეხკაცის მოწოდებაა, იყოს ქართველი ბავშვების გამზრდელი, ქართველი ერის ხერხემალი, საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამღვრელი (ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქე) და საქართველოს მიწის ყოველი ცალკეული გოჯის შემნახავი მილიონობით პოტენციური „სტუმრის“ პირისპირ. საქართველოს დიდ პატრიოტ პოეტს ჯერ კიდევ სამასი წლის წინ აქვს ნათქვამი საქართველოს თავზე ამოვარდნილი მძიმე ქარტეხილების ეპოქაში: „ოდეს წახდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“.

ილია გლეხკაცს სოფლის მაცოცხლებელად და გარდამქნელად მიიჩნევდა. მისთვის სიტყვა „გლეხი“ სინონიმი არაა არც „არანასწავლის“, არც „ტლუსი“, არც „დაბალი ღობისა“. ილიასთვის იგი სინონიმია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა“, „საკუთარ ფეხზე მდგომისა“, „ერის ფესვისა და რეზერვისა“. ერის მამის აზრით, „უბრალო გლეხობაა სული და გული ჩვენის ეროვნული იმედების“.

***

ილია ჭავჭავაძეს თავის დროზე მცდელობა არ დაუკლია საქართველოში მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების აღორძინებისათვის, რადგან სწამდა, რომ: „ქვეყნის ეკონომიური სიმტკიცე და ძლიერება გლეხკაცობის მიწათმფლობელობაზეა დამოკიდებული.

რამოდენადაც ეგ მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზედ დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათ-მოქმედებისათვის, იმოდენად ქონებითი ძალ-ღონე ქვეყნისა თუ სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი“.

ერის მამა მიეკუთვნებოდა ფართო აგრარული რეფორმის იმ მცირერიცხოვან მხარდამჭერთა ჯგუფს, რომელთაც ამოცანად დასახული ჰქონდათ სოფლად თვითმმართველობის დამკვიდრება და საგლეხო მიწათმფლობელობის გაფართოება, „ადგილის კაცის“ – მკვიდრი მიწათმოქმედის ფუნქციათა და უფლებათა გაძლიერება. ილია ჭავჭავაძის აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება დარჩეს და შეერგოს გლეხკაცს მისივე ნაშრომი და ნამოღვაწარი.

ერის მოძღვარი ბრძანებდა: „დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას“. ამასთან ხელისუფალთ შეახსენებდა: „მთელი განათლებული ევროპა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა იღვწიან, სისხლსა ღვრიან, რომ მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისაგან მონიჭებული კუთენილება ყოველის ადამიანისა, შეძლებისამებრ თანასწორად მორგებული ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა. რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა, ამ ყუაზედ გასულს ტკივილს ყოველის საზოგადოებისას წამალი ვერ დასდვა, – მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა“.

ილია საჯაროდ ითხოვდა იმდროინდელი ხელისუფლებისაგან: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამ, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ახლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება

ქართველისთვის მაინე იყოს“. ამ თვალსაზრისის გამოელინებაა: „საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო... წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს“ (იაკ. გოგებაშვილი). „ენასთან და გვარტომობასთან მიწაა ერთი უპირველესთაგანი ფაქტორი ეროვნულის ცხოვრებისა“ (არჩ. ჯორჯაძე).

მამათა და შვილთა დაპირისპირებაში მამები ყველაზე მეტად სწორედ ლიბერალობისათვის კიცხავდნენ ილიას. მომდევნო თაობის შვილებმა არასაკმარის ლიბერალობაში „ამხილეს“ ერის მოძღვარი. ბევრი უმტკიცა ერის მამამ შვილებს, თქვენ ლიბერალები კი არა, სუტ-ლიბერალები (სუტ-კნეინასთან ანალოგიით), თანამედროვე ტერმინოლოგიით – ფსევდო-ლიბერალები ხართო, მაგრამ ამაოდ დაშერა, ვერაფერი შეასმინა მათ. დღეს, როდესაც დიდი ილია საყოველთაოდ აღიარებულია, როდესაც ყველა თანხმდება, რომ ილია წარსულის კი არა, – მომავლის მოაზროვნეა, როდესაც ლოზუნგიც კი გაჩნდა – „წინ ილიას გზით!“, არ ვიცით, რა დავარქვათ ილიას სახელით ილიას დასახული გზის საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გონიერმა ქართველმა იცის: ილიამ მოგვცა ერის მომავლის განვითარების მთლიანობითი პრინციპული ხედვა, რომელიც უსწრებს და შეესატყვისება თანამედროვე ცნებებს „მომავლის ინსტიტუტი“, „მომავლის განვითარება“ (მ. მიდი).

დღეს კი საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონე პირებზე) გასხვისებისა და ქართველი გლეხობის

სოფლიდან აყრის პროცესი უნიათოდ ინიღბება ფსევდოლიბერალური (რომელსაც არაფერი აქვს საეროო ჯეშმარიტ ლიბერალიზმთან) იდეოლოგიით და მოსაზრებით, თითქოს შემოსულნი, როგორც ზოგადად მაღალი შრომითი კულტურის და, კონკრეტულად, ფერმერული მეურნეობის გამოცდილების მქონენი, საქართველოში სოფლის მეურნეობის გაძღოლისა და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე კულტურას შემოიტანენ. სინამდვილეში ეს ღონისძიება ერთ-ერთი ელემენტია ფართო პროგრამისა, რომელიც მდგომარეობს საქართველოს მოსახლეობის შეცვლაში – ქართველების განდევნაში ეკონომიკური გაჭირვების ორგანიზების გზით და ახალი, უცხო მოსახლეობის შემოყვანაში, რომელიც სავსებით გულგრილი იქნება საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ეროვნული ინტერესებისადმი, მაშასადამე, – ადვილად მიმართვადი საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგო მოქმედებისკენ. ხალხის „სასიკეთოდ“ მიღებულ ამგვარ გადაწყვეტილებებს ქვეყნისათვის გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

დამახასიათებელია შემდეგი სოციო-ფსიქოლოგიურად და სოციალურად ტრაგიკული ხდომილება: ერთერთი ყველაზე მძიმე დანაშაული ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი ისტორიის მანძილზე მიწათმფლობელობის სფეროში არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის აქტი “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512”, რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა

უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით არ ფიგურირებს საქართველოს არცერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე.

მცირემიწიან საქართველოში უცხოელების ჩამოსახლების და მათ მიერ მიწის შეძენის პროცესი 2006 წლიდან მიმდინარეობს. უკვე ეხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სახეზეა მოსახლეობათა ურთიერთშეუსატყვისობა, ისტორიის, ზნე-ჩვეულებების (ტრადიციის), რელიგიის, ზოგად-კულტურული ფონისა და აქსეოლოგიური ფონის მხრივ, მითუმეტეს – ენის მხრივ. იცლება სტატუსდაკარგული ქართული სოფელი, მიმდინარეობს, ობიექტურად, ქართველი ერის ეკონომიკური გენოციდი. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს (ინდოელები, ჩინელები და სხვ.) შორის.

ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე – მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი, მფლობელი და გაჭირვების გამო გამყიდველი – არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან მიმართებაში. ამ უკანასკნელებს შესაძლებელია მიწის ეს ნაკვეთი სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის უნდოდეთ – აგარაკების აგებით დაწყებული და სხვა, ხრიოკ ქვეყნებში წასაღებად ნაყოფიერი ზედაფენის მოჭრით დამთავრებული. საკამათო არც ისაა, რომ მოქალაქეობის არმქონე პირებს გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ საქმის წამოწყებისთვის, ვიდრე ადგილობრიეებს, რაც

კატეგორიულად დაუშვებელია, განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულ და მოწყვლად დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა (მემცენარეობა) არ არის ინვესტიციატევადი დარგი და აქ ინვესტორის წახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს.

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის იმისას, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება, თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, რიგი არაბეთის სახელმწიფოები, ისრაელი, ირანი, თურქეთი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვაესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შესამსუბუქებლად არის მცდელობა, ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ, – თანაც, გემოძღერავენ და გვამშვიდებენ „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ“. არ მოიკიდებენ, მაგრამ ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედით გონს! რადგან ამ ქვეყნების დემოგრაფიული და ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში შეცვლის პროგნოზს. ეს საშიში პროცესი შედარებით წყნარად და უხმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ქვეყნის ვინაობისა და რაობის დაკარგვის ტოლფასია. ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად ჰმართებს, რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს. შესაძლებელია, ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად

გადაქცევის გარდუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისთვის (სახელდობრ, ნაკლებ მცოდნეთათვის), მაგრამ საკმარისია ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისათვის საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება. მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს არა მარტო მისი, როგორც მეწარმე ინდივიდის, მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის, ფუნქციის მოშლასაც.

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს. ამავე დროს არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, უმცირესი გამონაკლისის გარდა, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (jus utendi et abutendi, – გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. მაგალითად, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. მსგავსი შეზღუდვები ძირითადად რეგიონულ დონეზე ხდება. მაგალითად, აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის

უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონომიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მიწის შეძენას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდელობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული.

ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე (ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.). ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

***

მიწა ერისათვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

საქართველოს მმართველი ხელისუფლების (2003-2012 წწ.) აგრარული პოლიტიკის სტრატეგია ემყარება იმის არგათვალისწინებას (არცოდნას ან არცოდნის სიმულაციას), რომ:

– ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება;

– თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, უყოყმანოდ

იწირება თეორია. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწის საკუთრება, განსხვავებით სხვა ქონებისაგან, ერის საყოველთაო ინტერესების სოციალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს დაუქვემდებარა;

– საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნიეთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;

– ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა.

– სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც“ იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის – თავისი სახელმწიფოს – დაცვის სახით იცავდა.

ამ სასიცოცხლო თემაზე საზოგადოებამ უნდა იცოდეს შემდეგი:

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.

მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა

ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი).

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უსენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას.

მთავრობა, რომელიც საზოგადოებრივი საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების საკითხს აყენებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეკითხოს ერს (ხალხს), სურს მას ამ საკუთრების გასხვისება უცხოელებზე თუ არა. ამ შემთხვევაში დემოკრატიული ქვეყნების „დემოსი" რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს, მთავრობა კი, რომელსაც ხალხის აზრი ამ საკითხში ნამდვილად აინტერესებს, კი არ ეწინააღმდეგება მას, არამედ ვალდებულია, უზრუნველყოს რეფერენდუმის ჩატარება.

ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო „ღვთის მიერ კურთხეული ადგილია", ანუ, თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტორია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების დონეზე (დაპყრობა, დახოცვა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური

ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი“ დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანონ ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მიწის მიყიდვისა არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება. მოსახლეობის ეს ნება და ეს აზრი, გაფრთხილების ფორმით უნდა მიეწოდოს შემოსახლების მსურველებს, როგორც გაფრთხილება ნაქურდალის ყიდვის გამო აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ილია ჭავჭავაძე უცხოელებზე (ხიზნებზე) გრძელვადიანი მემკვიდრეობითი იჯარის გამოყენებას სთავაზობდა ქართულ საზოგადოებას. ასევე დასაშვებად მიმაჩნია საქართველოში დღეს გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის (სარგებლობის უფლების გაყიდვა) ფორმის გამოყენებაც, რომელიც მსოფლიოს უმეტეს დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშია გამოყენებული.

საქართველომ სასწრაფოდ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი (როგორც ევროკავშირის რიგმა ახალმა წევრმა ქვეყნებმა) და შეაჩეროს (აკრძალოს) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისება (ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებამდე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოშია დაფუძნებული, მაგრამ მათში ნებისმიერი მასშტაბით მონაწილეობენ არარეზიდენტი იურიდიული თუ

ფიზიკური პირები. ამ მოთხოვნის შესრულება ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, პირიქით, უდიდეს საფრთხეებს ააცილებს მას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა მიისწრაფის ევროკავშირისაკენ და იმედია, რომ ახლო მომავალში გახდება ამ ორგანიზაციის წევრი. ცხადია, წევრობა გულისხმობს გარკვეულ ვალდებულებებს, მათ შორის – კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას მიწის საკუთრების საკითხშიც.

ილია ჭავჭავაძის პარადიგმა, ისტორიული ხედვით განმტკიცებული, მიწისადმი ქართველი კაცის განსაკუთრებული დამოკიდებულების თაობაზე არა მარტო ქართველი ერისთვისაა აქტუალური, არამედ მთელი განვითარებული კაცობრიობისათვის.

ქართველ ერში ეროვნული ინსტიტუტების შენარჩუნებისათვის ტერიტორიულ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ სტაბილობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აქ ერის სპეციფიკურ თავისებურებებთან ერთად არსებით როლს ერის ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების კულტურა ასრულებს. მასზე მსჯელობისას ილია ბრძანებდა: „ვაჭრობა იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს: საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმის მამული, იმის მიწა-წყალი. ამიტომაც ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული... ამიტომაც საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ღონემოკლებულია, ერთად ყოფნისთვის ნიადაგი არ აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ჰქონდეს გატენილი. ამისთანა ეკონომიკური ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი“.

***

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოფლის მეურნეობის დახასიათება არასრულყოფილი იქნებოდა ილია ჭავჭავაძის შეხედულებებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლად, რადგან პრაქტიკულად არ დარჩენილა სოფლის მეურნეობის განვითარების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ გამხდარიყოს დიდი მოაზროვნის განსჯა-განხილვის საგანი, იქნებოდა ეს:

– თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი,

– კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება,

– ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ მებრძოლი კომისია,

– ბოსტნეულ-ბაღჩეული პროდუქტების კავკასიის გამოფენა,

– კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი,

– ღვინის ვაჭრობის პირველი ამხანაგობა,

– წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა,

– ხილნარობისა და მეენახეობის სასწავლებელი, თუ მრავალი სხვა საჭირბოროტო საჭიროების მქონე წამოწყება.

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკის შესწავლისა და ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა გაანალიზების შედეგად ილიამ დაასაბუთა სოფლის მეურნეობის უპირატესი განვითარების როლი და აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში. „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით, იმიტომ რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიკური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის

წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოობისა, სიმდიდრისა მაგაზედ არის დამყარებული“.

ილია ჭავჭავაძემ სწორად გაიაზრა ეროვნული ზნეობრივი ღირებულებებისა და ერის ტრადიციული სამეურნეო მახასიათებლების ერთიანობა. „ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფეხ-მოკიდებულია და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით კი არა, არამედ სულითაც და გულითაც, ესე იგი ზნეობითაც შემსჭვალულია. მისი სოფელი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრია“ თავის სოფლისა და სხვა თავ-მოსაწონებელი სახელი არ იცის“, – წერდა ილია.

ერის მამის თვალსაზრისით ქართველი გლეხის ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სახეს მიწათმოქმედების გაძღოლის ეროვნული ტრადიციები და თავისებურებები აყალიბებდა. სწორედ ამიტომ გაიხადა სოფლის მეურნეობა ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამის ეკონომიკურ საძირკვლად. ილიას მიაჩნდა, რომ „ეკონომიკური გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა. ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენიც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი ირჩინოს და ყოველ სფეროში ღონიერად გაიწიე-გამოიწიოს წარმატებისა და კეთილმდგომარეობისათვის“.

დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი წარმმართველი დარგი თავისი პრობლემებით ყოველთვის უკავშირდებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებს. ამიტომ ეროვნული ტრადიციების

შენარჩუნებისათვის (რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღესაც) ბრძოლაში დიდ ფუნქციას აკისრებდა სოფლის მეურნეობას, დაჟინებით უსაბუთებდა იმდროინდელ ხელისუფლებას გაძლიერებას „იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი – სოფლური მეურნეობა“.

***

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით სახავდა მისი განვითარების გზებსა და საშუალებებს, იცავდა მიწათმოქმედთა ინტერესებს ყველა ჯურის უცხოელი ეაისპეციალისტებისაგან, იმ ხანად მრავლად რომ შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ საქართველოში.

1882 წელს ვინმე მაისნერმა კავკასიის მთავარმართებელს წარუდგინა ორი პროექტი სოფლის მეურნეობის დარგში სააქციონერო საზოგადოების შექმნის შესახებ. ერთი პროექტი შეეხებოდა ამიერკავკასიაში ღვინის კეთებას, ღვინით ვაჭრობას და არყის ხდას, მეორე კი – ხილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულის წარმოების საქმეს. მთავარმართებელს პროექტი განსახილველად გადაუგზავნია კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისათვის. საზოგადოებამ გამოყო სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად შედიოდა რაფიელ ერისთავი.

ქართველ საზოგადოებაში განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა პირველი პროექტი. ილიას აზრით, საქმე შეეხებოდა იმისთანა წარმოებას და სიმდიდრის იმისთანა წყაროს, რომელიც ქართველ მიწათმოქმედთ ეპყრათ ხელთ. ეს წყარო იყო „ღვინის კეთება“, რასაც „თავისი მიზეზი“ ჰქონდა „და დიდად პატივსადებიცა,

იმიტომ რომ ღვინის საქმის მიზეზნი საეკონომიო მიზეზნი არიან და, მაშასადამე, ისეთნივე გარდაუალნი, როგორც თვითონ ბუნების მოთხოვნილებანი".

კომისიის წევრთა უმრავლესობამ მაისნერის პროექტის მიზანდასახულობა სასარგებლოდ ცნო, მიუხედავად რაფიელ ერისთავის გამოთქმული შიშისა, რომ ამ საზოგადოებას შეეძლო გაეკოტრებინა ადგილობრივი მწარმოებლები და მხოლოდ პირადი მოგებისთვის ეზრუნა (თ. ღლონტი).

სამწუხაროდ, კომისიამ ვერ შეძლო სიღრმისეული ანალიზი გაეკეთებინა მაისნერის ჭეშმარიტი მიზნისა და გეგმისათვის, მან უმთავრეს დადებით მომენტად კავკასიისათვის ორნახევარი მილიონი მანეთის შემოტანა მიიჩნია.

„პროექტის" არსის დასახასიათებლად მოვუსმინოთ თავად ილია ჭავჭავაძეს. ილიას აზრით, მოქმედება მარტივი გეგმით „ვიყიდი ღვინოს, რომ ისევე გავყიდო, ესე იგი, ღვინის ვაჭრობას გავმართავო" არ იქნება მომგებიანი საქართველოს საზოგადოებისათვის. მისი დადებითი შედეგი მხოლოდ აქციონერთა გამდიდრების საშუალება იქნებოდა და ეს უფრო მეტად გააღარიბებდა ღვინის უშუალო მწარმოებელ გლეხობას.

ილიამ სწორად განჭვრიტა მაისნერის პროექტის ჩანაფიქრი და დაასაბუთა მისი მიუღებლობა ქართული სინამდვილისათვის. მაისნერი საქართველოში იაფად შეიძენდა ღვინოს და რუსეთში სარფიანად გაყიდდა, ვინაიდან რუსეთის ბაზარი დაპყრობილი ჰქონდა ძვირად ღირებულ ფრანგულ ღვინოებს და საზოგადოების მაღალი ფენაც მას ეტანებოდა. მაისნერს საქართველოდან გატანილი ღვინისათვის უნდა ეძებნა საშუალო მომხმარებელი, შეეჩვია იგი ქართული ღვინისთვის და ღვინოც ფრანგულთან შედარებით იაფად გაეყიდა. მეორე მხრივ, მაისნერი აპირებდა ადგილობრივი მწარმოებლებისგან

შესყიდული ღვინო ქაროველი გლეხის ერთადეროი სისუსტის – ევროპული კომერციული მენეჯმენტის არცოდნის – და ხელისუფლების შეფარულად მტრული დამოკიდებულების წყალობით მხოლოდ რუსეთის ბაზარზე გაეტანა, ეს კი საქართველოში ღვინის გაძვირებას გამოიწვევდა. ჯამში: ა) გლეხს შემოსავალი ან იგივე რჩებოდა, ან უმნიშვნელოდ ესრდებოდა, ბ) ახალი მუშტრის – მაისნერის – გაჩენა გლეხს აცდუნებდა, რომ ვენახი გაეყიდა, გ) ღვინის გაძვირებით ხარჯი ემატებოდა ქართველ მომხმარებელს. ამით ზარალდებოდა საზოგადოება მთლიანად.

ქართველ მევენახეს, პრაქტიკულად, ხვედრით წილად ვენახის მოვლა-გაშენება და ყურძნის მოყვანაღა რჩებოდა, მაისნერი კი ხელთ იგდებდა თითქმის უშრომელ მაღალხარისხოვან პროდუქტს – იგდებდა მხოლოდ იმით, რომ ადმინისტრაცია მის მხარეზე იყო. სწორედ ამიტომ შესძახა ილიამ ქართულ საზოგადოებას: „გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ... ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“. ეს არის ერთერთი მაგალითი წარმატებული უიარაღო ბრძოლისა საქართველოსათვის დიეერსიული პროექტის წინააღმდეგ (დღეს ასეთი პროექტები ასობითაა).

„ქვეყანას გონების გახსნა უნდა, ქვეყანას სწავლა უნდა, ქვეყანას გაზრდა უნდა, თუ რამ შეგიძლიათ, იმოქმედეთ“, – ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე. ამით ერის მოძღვარი, პრაქტიკულად, მოუწოდებდა ქართველ ერს განათლებისაკენ ანუ თავისი ქმედუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის სწრაფი ამაღლებისაკენ თანამედროვე პირობებში.

***

ილია ჭავჭავაძემ უპირველესი ზრუნვისა და დაცვის ობიექტად მიწათმოქმედება აღიარა. „ერთი უდიდესი წყარო სიმდიდრისა, უფრო მტკიცე და საიმედო, ხვნა-თესვაა, მიწათმოქმედებაა ყოველგვარი, იმიტომ რომ ამ მრეწველობის ნაამაგარი შეადგენს უპირველეს საჭიროებას ადამიანის ცხოვრებისას“. ილია თელიდა, რომ მიწათმოქმედების „სამუდამოდ და მკვიდრად განკარგებისათვის“ საჭირო იყო ხანგრძლივი პერიოდი. „ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ წადგმული ბიჯი მიწისა და გუთნის მიმართ ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს... ჩვენი ძალღონე, ჩვენი ცხოვრებისა და ვინაობის, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე – მიწა და გუთანია“.

ილიას სწამდა, რომ „ჩვენ ქართველები პურისა და ღვინის ქვეყანა ვართ“, „თუ ერმა პურისა და ქერის ხვნა-თესვის გარდა ვაზის მოვლა მაინც იცის კარგად თუ ავად, იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად ქონებითად და აქედან ზნეობითადაც“. ერის მოძღვარი ქაროველ გლეხს შეახსენებდა იმ მრავალსაუკუნოვან ფუნქციას, რაც ვაზის კულტურას ჰქონდა ქართველი კაცის სამეურნეო საქმიანობასა და ყოფაცხოვრებაში. ილიამ კარგად იცოდა, რომ მევენახეობა-მეღვინეობა იყო ეროვნულობის, ქართველობის დაცვისა და შენარჩუნების მძლავრი სტიმული. „ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუსადაც, სადაც მის მამა-პაპას თაყვისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, ჯერ უნდა

გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ეაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია“.

ქართველი ხალხი ხორბალს იცნობდა ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში და უკვე მოჰყავდათ ხორბლის რამდენიმე სახეობა („იფქლი“, „ასლი“, „დიკა“, „მახა“, „ზანდური“, „დოლი“, „ხულოგო“). ხორბლის ამგვარი დიფერენცირებული სახეობრივი სახელწოდება არცერთი ქვეყნის ხალხს არ გააჩნია, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ხორბლის კულტურულ სახეობათა ფორმირებაში ქართველმა ერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. აკადემიკოს ნ. ვავილოვის აზრით, ხორბლის ფორმათა წარმოქმნაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

სადღეისოდ მსოფლიოში აღწერილი და რეგისტრირებულია ხორბლის ბოტანიკურ გვარში შემავალი 23 კულტურული და 4 ველური სახეობა. ამათგან საქართველოში წარმოდგენილია 14 კულტურული სახეობა. გარდა ამისა, ქართული ხორბლის სახეობებისაგან მიღებულია კიდევ 4 კულტურული სახეობა, რაც, ერთად აღებული, შეადგენს ხორბლის გვარში შემავალ სახეობათა 65%-ს. ქართულ კულტურულ ხორბალთა შორის აღწერილია 150-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიშთა დიდი მრავალფეროვნება (160-მდე). მათ წარმოქმნას და ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საქართველოს ბიოგეოკლიმატურმა მრავალფეროვნებამ, ქართველი კაცის გარჯამ, შემოქმედებითმა უნარმა და ხალხურმა სელექციამ. ქართველ ერს ხორბლის მოვლა-მოყვანის დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნია.

საქართველოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიშია აღრიცხული, კერძოდ, კახური – 80, ქართლური – 72, იმერული – 75, რაჭა-ლეჩხუმური – 50, მეგრული – 60, გურული – 53, აჭარული – 52, აფხაზური – 58 და სხვ. საქართველოში 2.5-ჯერ მეტი ვაზის ჯიშია, ვიდრე აზერბაიჯანში (200), 5.5-ჯერ მეტი, ვიდრე სომხეთში (90), 2.5-ჯერ მეტი, ვიდრე შუა აზიაში (200), 3.5-ჯერ მეტი, ვიდრე დაღესტანში (150).

მეცნიერები ვენახის პირველ სამშობლოდ მცირე აზიასა და კაეკასიას (მის დასავლეთ ნაწილს და ზოგადად შავი ზღვისპირა ქვეყნებს) მიიჩნევენ. შუამდინარეთში ვაზი მეორეული მოვლენაა. იგი აქ გავრცელებული უნდა იყოს სამხრეთ კავკასიიდან და ინდოეთიდან (მეხუთე ათასწლეულში). მრავალ ენაში „ღვინო“ შესულია ერთი საერთო ძირით: ბერძნული – ოინოს, ლათინური – ვინუმ, ხეთური – ვიანა, სომხური – გინი, რუსული – ვინო, გერმანული – ვაინ; სემიტურ ენებში: არაბული – ვაინუმ, ებრაული – იაინ, ასურული – ინუ და ა.შ. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარების საფუძველზე დაასაბუთა, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელდა: „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა როგორიც არის ღვინო“.

***

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლა ილია ჭავჭავაძეს ვერ წარმოედგინა ადგილობრივ მიწათმოქმედთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ათვისების გარეშე. („დროთა შესაფერი ცოდნა, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“, – ინოვაციური, პროდუქტიული ცოდნა – თანამედროვე მიწათმოქმედის ორგანული

თვისებებია, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელი ქართული სოფლისთვის). ილიას არა ერთხელ შეუსყიდია ევროპიდან უახლესი მოდიფიკაციის მანქანა-იარაღები (ჰოვარდის №2 ტიპის გუთანი ილიამ ფართოდ დანერგა არამარტო საგურამოში, არამედ მიმდებარე ათეულ სოფელშიც. „ბუკკეის“ მარკის ხორბლის სამკალი-ძნისდამდგმელი მანქანა, „ლეპპა და ვალმანას“ პურის სალეწი მანქანა, ვაზის სასხურებელი მანქანა და სხვა) საკუთარ მამულში დასანერგად და მათ დემონსტრირებას დასწრებია. თუმცა მათი გამოყენება კვალიფიციური მუშახელის არარსებობის გამო სრულფასოვნად ვერ მოახერხა. ასეთი უცხო ხილი იყო მოწყობილობა, რომელსაც კრუხის როლი უნდა შეესრულებინა (რასაკვირველია ინკუბატორს ვგულისხმობთ). იგი კარგა ხნის განმავლობაში აოცებდა ილიასთან სტუმრად მისულ საზოგადოებას თავისი შესაძლებლობებით, რომლის დემონსტრირებაც ვერ იქნა და ვერ მოხერხდა.

ილია კარგი მეურნე გახლდათ, ხეხილის ბაღიც და ვენახიც ჩინებულად მოვლილი ჰქონდა, სადაც თავად შრომობდა ფიზიკურად. ხილ-ბოსტნეულიც და ყურძენიც მაღალი ღირსების მოსდიოდა. ამის დამადასტურებელია ორი ფაქტი – პირველი, 1897 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარებულ „ბოსტნეულ-ბაღჩეული პროდუქტების კავკასიის პირველ გამოფენაზე“, ილია ჭავჭავაძე დიდი ვერცხლის მედლით დაუჯილდოებიათ. მეორე ფაქტი კი გახლავთ ილიას მეუღლის, ოლღა გურამიშვილის დაჯილდოება მედლით 1889 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ილიამ კარგად იცოდა, რომ საქართველოს არ ჰყავდა მაღალკვალიფიციური, უმაღლესი განათლების მქონე აგრონომები, რომელთაც უნდა ეზრუნათ ქართული

მიწათმოქმედების აღორძინებაზე; მხოლოდ უცხოელ სპეციალისტებზე დაყრდნობა, რაგინდ მაღალკვალიფიციურიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვერ განაპირობებდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებას; ამიტომაც დიდი საზოგადო მოღვაწის მიზანი იყო გლეხს შეეგნო ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების შეძენის გარდუვალი აუცილებლობა, ზიარებოდა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, განმტკიცებოდა რწმენა, რომ მხოლოდ იგია ჭეშმარიტი პატრონი და გამგებელი თავისი წილხვედრი მიწისა. ილია ბრძანებდა: „განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას... მასწავლებელი, ექიმი, ტექნიკი, მიწის დამუშავების მცოდნე, – ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ახლა, თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის... ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა – სამეურნეო სკოლაა. ამგვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა“. ამიტომაც ერის მოძღვარი უმდაბლესი და უმაღლესი სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სკოლების შექმნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

1883 წელს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში ილია აღნიშნავდა „აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს – სად რა სიმდიდრე სძევს და რა რიგის ხერხით შეიძლება ამ სიმდიდრეს ხელი მივაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენი თავის სადღეგრძელოდ“.

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ თავის წერილში „კავკასიის სასოფლო მეურნეობის

საზოგადოების“ შესახებ, რომელიც 1850 წელს იყო დაფუძნებული. მოწინავე ევროპული ქვეყნების (საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, გერმანია, ინგლისი) გამოცდილების მიმოხილვის შემდეგ ილია დაასკვნის: „მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს და მეორეს გზით – მსად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება“. დიდი მწერლის სიტყვებით, „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებას“ წარმატებისათვის რომ მიეღწია, იგი უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტი წარმომადგენელი „ადგილობრივეთა მიწათმოქმედთა და სასოფლო მეურნეობის მოწარმოეთა“, – უნდა ყოფილიყო „შუამდგომელი მთავრობის წინაშე“, რათა მისი „მუდმივი მზრუნველობა და შემწეობა იქით მიემართა, საითაც საჭირო იყო. თუ ეს არ მოხდებოდა, „საზოგადოება ისევე ისე მკვდარი“ იქნებოდა, „როგორც აქომამდე იყო“.

ვისაც დღეს საქართველოს ეკონომიკის დაგეგმვა და მართვა ევალია, ამის დავიწყების უფლება არ აქვს. გლეხკაცი არის (და ყოველთვის იქნება, თუ მცდარმა ან დანაშაულებრივმა პოლიტიკამ არ შეუშალა):

– სოფლის, როგორც საზოგადოებისა, ერისა და ეკონომიკური ფუძე-ერთეულის, მოსახლე და შემნახავი;

– (სასაზღვრო ზონებში) ტერიტორიის გულით მონდომებული დამცველი;

– ნატურალური პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობაში გულწრფელად დაინტერესებული მეურნე;

– შთამომავლობის მრავალრიცხოვნებასა და მაღალხარისხოვან აღზრდაში დაინტერესებული მეოჯახე;

– ქვეყნის კეთილდღეობასა და ძლიერებაში ასევე

გულწრფელად დაინტერესებული მოქალაქე.

ამისათვის მას სჭირდება:

– თავისი ოჯახის საესებით დამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა;

– ურბანულთან მაქსიმალურად მიახლოებული ცივილიზაციური კომფორტი;

– ურბანულთან მიახლოებული განათლების საშუალება ბავშვებისათვის;

– გონიერული ხარისხი დამოუკიდებლობისა ეკონომიკურ პარტნიორებთან საქმიან ურთიერთობაში (ღვინის ქარხანასთან, საკონსერვო ქარხანასთან, მექანიზაციით მომსახურების ფირმასთან, საწვავით მოვაჭრესთან, ჩაის ფაბრიკასთან, რძის შემგროვებელ და გადამმუშავებელ საწარმოსთან, ხორცკომბინატთან, პირუტყვის სასაკლაოსთან, ლოგისტიკურ ცენტრთან, საცავ-მაცივართან და ა.შ.);

– თავისი შთამომავლობისათვის ფართო (გეოგრაფიულად და სოციალურად) პერსპექტივის იმედი.

სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების გარეშე (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმმართველობა, არჩეული მამასახლისი, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა – გზა, წყალი, ელექტროენერგია, ჯანდაცვა, ბაგა-ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, დასაქმება და სხვ.) ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო ფორმალური სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი. ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა გლეხკაცის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირება, ქვეყნის

სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში – ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. მათ კარგად იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს. ეს პოლიტიკა შეუძლებელია მეცნიერებასთან კავშირის გარეშე. სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ერის განმანათლებელი, ცდილობდა ევროპული გამოცდილების მაგალითზე ჩვენშიც დანერგილიყო ამხანაგობათა ჩამოყალიბების ტენდენცია (კოოპერაციული მოძრაობა). ილია მიესალმა თელავის თავადაზნაურთა მიერ შექმნილ „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირის“ შექმნას, მოიწონა მისი წესდების პროექტი და გამოთქვა იმედი, რომ „კავშირი“ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა. „ეს იმისთანა საქმეა, რომელიც საუკუნოდ სახსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და მეთაურობას გაუწევს. ესეც უნდა იცოდეს თავადაზნაურობამ, რომ აქ მცირეოდენის გაწირვა და გაცემა დიდის სიკეთის მომაელინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე, და ყოველი დაზოგვა და არგაცემა – დაკარგვაა“.

საყურადღებოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვამ (მათ შორის ბალტიის ქვეყნებმაც). ეს პროცესი ყველგან სახელმწიფოს აქტიური მაორიენტირებელი, მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა. აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და

კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით.

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაციაც და შემდგომი განვითარებაც. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მისი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა“ რეალური შინაარსი.

***

ილიამ კარგად იცოდა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებას ფინანსური რესურსები ესაჭიროებოდა. ამასთან, უნდა გადაჭრილიყო ერისათვის უმნიშვნელოვანესი – „მიწის ქართველთა ხელში დარჩომის“ – ამოცანა. მკვიდრი მიწათმოქმედი უნდა დამკვიდრებულიყო იმ მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავებდა და რომელიც საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა. მას სწამდა, რომ ეს მიწა ქართველთა ერთადერთი საცხოვრისია და ამ მიწაზე მთავარი შემოქმედი და პროდუქციის შემქმნელი ქართველი კაცი უნდა იყოს. ილიას სიტყვებით: „მიწათმოქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა. ამგვარობაში ჩვენი გლეხია ღირსშესანიშნავი“. გლეხკაცობას მიწის შეძენაში დახმარება ესაჭიროებოდა. ამ

მიზნით სპეციალური სამიწათმოქმედო ბანკის შექმნა იყო საჭირო. „ილია ჭავჭავაძის ზრუნვა იმაში იყო, რომ ის მიწა, რომელსაც ჰკარგავს თავადაზნაურობა, გლეხკაცობის ხელში დარჩენილიყო და ჩვენს მწერალს ძლიერ აფიქრებდა ის, თუ რა გზით მოხერხდებოდა და მოეწყობოდა ეს საქმე“ (არჩ. ჯორჯაძე).

„რამდენი მეცადინეობა დაგეჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგეღო, ბანკი განახლების ბანკად გეექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის მოთაეედ ჩაგეყენებინა“, – წერდა ნიკო ნიკოლაძე. „საადგილმამულო ბანკის არსის გამოსახატავად ნიკო ნიკოლაძე მეტად ტევად ცნებას ხმარობს – განახლების ბანკი. თუ ადრე იგი თავადაზნაურობის კეთილდღეობის შესანარჩუნებლად იყო ჩაფიქრებული, თერგდალეულთა ხელში ეროვნული ცხოერების განახლების იარაღად გადაიქცა, ქართველთა სულიერი თუ მატერიალური საქმიანობის ფუძე გახდა“ (აკ. ბაქრაძე).

დიმიტრი ყიფიანის იდეასა და წამოწყებას სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შექმნის თაობაზე ილია ჭავჭავაძემ ფრთები 1875 წელს შეასხა. ბანკის დაფუძნების დღეს თავისი გამოსელა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ქართველი ერი სამარადისოდ მადლიერი იქნება ამ საქმის წამომწყებისა და მესაძირკელის უფალ დიმიტრი ყიფიანისა“.

ერთი წლის შემდეგ ილიას ხელშეწყობით საქმიანობა დაიწყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკმაც. ბანკი იყო პირველი ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც ქართველთა აქტიურობით და მონდომებით შეიქმნა.

ილია ჭავჭავაძემ სრული 30 წელი დაჰყო ბანკის მმართველის თანამდებობაზე და დიდი ენერგია შეალია

ქართული საბანკო სისტემის განვითარების საქმეს, რომელიც მისი მეცადინეობით გადაიქცა:

– ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების,

– ქართული თეატრის,

– ქართული გიმნაზიის,

– ნიჭიერი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისათვის ზრუნვის და მთელი რიგი სხვა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დამფუძნებლად და დამფინანსებლად.

დიდმა მწერალმა 12 წერილი მიუძღვნა საბანკო-საკრედიტო და საფინანსო საკითხს. სტატიაში: „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი“ (1883) ილიამ განმარტა საადგილმამულო კრედიტის მნიშვნელობა „მიწის და მიწათმოქმედების განკარგებისა და გაძლიერებისათვის“. „დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედთა ღონისა და მომცემლობისა“. აგროკრედიტი თავისი ბუნებით „შეფერებული და შეწონილი“ უნდა იყოს „მიწისა და მიწათმოქმედების თვისებასთან“. „სასოფლო მეურნეობა, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა, თითქმის ერთადერთი წყაროა ჩვენი სიმდიდრისა“ – წერდა ილია.

1882 წლის 22 აპრილს თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის საზოგადო კრებამ მოისმინა და მოიწონა გამგეობის მოხსენება გლეხებისათვის „იაფი“ კრედიტის მიცემის თაობაზე და წარუდგინა ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად. მაგრამ მეფის მთავრობამ საჭიროდ არ ჩათვალა კერძო ბანკისათვის მიენდო „იაფი“ კრედიტის საქმე. მიზანშეწონილად მიიჩნიეს სახელმწიფო საგლეხო კრედიტის ბანკის დაარსება, რაც განახორციელეს კიდეც... რუსეთში.

სხვათაშორის, ეს ბანკი შემდგომში საფუძვლად დაედო სტოლიპინის რეფორმას.

ილია ჭავჭავაძე 1889 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საგლეხო ბანკის საკითხისათვის“, როცა შეეხო ამ დაწესებულების შექმნის საჭიროებას საქართველოში, აღნიშნავდა: „ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედი ქვეყანაა და ერთადერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა. ამიტომ საადგილმამულო კრედიტს, როგორც კრედიტს, საგნად მარტო ის უნდა ჰქონდეს, რომ გააძლიეროს სოფლის მეურნეობის წარმოება, და რადგან ეს წარმოება განუყოფლად შეერთებულია მიწასთან და მიწათ-მოქმედებასთან, ამიტომაც საადგილმამულო კრედიტი ირჩევა ყოველ სხვა კრედიტისაგან იმ განსაკუთრებული თვისებებით, რომლებიც წარმოსდგებიან თითონ მიწათ-მოქმედების და მიწის ეკონომიური ბუნებისაგან“. დადებით მხარეებთან ერთად გააკრიტიკა წესდების ბიუროკრატიული ხასიათი და მისი შეუთავსებელი ბუნება ქართული სოფლის სინამდვილესთან (რუსული ბანკის წესდება, მაგალითად, არ ითვალისწინებდა კრედიტის გაცემას ვენახის შესასყიდად). ილიას შეხედულებით ბანკის შექმნას აზრი არ ექნებოდა, თუ წესდება არ გაითვალისწინებდა მიწათ-მოქმედების ინტერესებს.

***

დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა დიდი საზოგადო მოღვაწის პუბლიკაციებს ქვეყანაში პურეულისა და ბამბის მოვლა-მოყვანის, ტყის, ტექნიკური კულტურების გაშენების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების, მელიორაციის და სხვა პრობლემური საკითხების შესახებ. სტატიაში „ჩვენი გლეხობა და ტყეებით სარგებლობის საქმე“ ილია ბრძანებდა: „ჩვენებურის გლეხისათვის ტყე ისე საჭიროა, როგორც არსობითი პური. უტყეოდ

ჩვენებური გლეხკაცი ვერ დადგება ისე, როგორც უპუროდ". სააშკარაოზე გამოიტანა სატყეო ხელისუფლების ძალმომრეობა და უკანონო დაუსჯელი საქმიანობა, ასევე ტყით სარგებლობის რუსული წესის ქართული სინამდვილესთან შეუთავსებლობის საკითხი. საქმე ის გახლდათ, რომ ტყით სარგებლობის წესი საქართველოში რუსულ კანონებს ემყარებოდა, ხოლო ქართველთა და რუსთა ყოფა-ცხოვრება და ჩვეულება ტყის მოხმარების საქმეში ერთმანეთისგან განსხვავდებოდა: ქართველი კაცი კერას ხმარობდა და ცეცხლის პირას თბებოდა, რუსი კი ოთახს „ფეჩით" ათბობდა, ქართველ გლეხს ხე სასარე, საჭიგოე, სამარგილე და საღობე მასალად ესაჭიროებოდა, რუსს კი არა (რუსს ვენახი არც ჰქონდა). ამის გარდა, შეშას ქართველი თონის გასახურებლად და პურის გამოსაცხობადაც იყენებდა.

პურეულის საკითხთან დაკავშირებით უაღრესად ყურადსაღებია ილია ჭავჭავაძის წერილი „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში", სადაც ილია სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე გლეხობასა და პირველი გილდიის ვაჭრებს დაბეჯითებით უსაბუთებდა, რომ პურეულის წარმოება საქართველოში ვერ გახდება ეკონომიკურად მომგებიანი, ექსპორტზე ორიენტირებული დარგი. „ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, – პური იმდენი მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს, ჩვენ და ჩვენს შინაურ ბაზარს ეყოს", – წერდა ილია ჭავჭავაძე.

ილიას აზრით, ადგილობრივი პური ვერ გასწვდა კონკურენციას „საქვეყნო ბაზრის მოედანზედ". ხორბლის გატანა ქვეყნის გარეთ ძვირი ჯდებოდა მაშინ, როცა ამერიკიდან უფრო მოსახერხებელი და იაფი იყო პურის შემოტანა ევროპაში, ვიდრე ერევნიდან, კახეთიდან და თვით ქართლიდან ბათუმამდე.

ამერიკაში მარცვლეული მეურნეობის განვითარების საკითხზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე გამოყოფდა სამ უმთავრეს მომენტს, რომლებიც განაპირობებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიზანსწრაფული და გონივრული განვითარების ძირითად მიმართულებას:

პირველი, საკვირველი გახშირება სამიწათმოქმედო მანქანებისა ამერიკაში, რომლებიც ხარჯს პურის მოყვანისას მეტისმეტად აცოტავებს.

მაღალი მოსავლის მიღების მეორე ძირითად მიზეზად ილიას მიაჩნდა ის, რომ იქაური მეურნეები ცოდნით ეკიდებოდნენ საქმეს და ყოველს სახსარს და ღონეს მეცნიერებისას ხმარობდნენ შემოსავლის გადიდებისა და გაძლიერებისათვის.

მესამე, ყოველი კუნჭული ამერიკისა რკინიგზით იყო შეერთებული ნავსადგურებთან და რკინიგზით გატანა დაუყოვნებლივ სწრაფი და იაფი იყო.

***

დარგის პრობლემებზე მსჯელობისას ილია გამოყოფდა საქართველოში მრავალდარგოვანი, ფართოდ სპეციალიზებული სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობას. ილიას აზრით, დარგობრივ სპეციალიზაციას უნდა ეპასუხა საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებებისათვის. ანუ მთელი ყურადღება უნდა მიქცეოდა ისეთი პრიორიტეტული კულტურების წარმოება-განვითარებას, რომლითაც შეგვეძლებოდა „საქვეყნო და შინაურ ვაჭრობაში თავის გამოჩენა და ეკონომიკური სარგებლის მიღება“.

თუ იმდროინდელი გადაზიდვების საშუალებებს გავიხსენებთ, რომელიც გლეხკაცის მფლობელობაში იყო (იგულისხმება ურემი), ამასთანავე რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ მანძილსა და თითქმის დანგრეულ გზას, რომელიც ზამთარში იკეტებოდა, ცხადი

გახდება, რომ ჭირნახულზე ზრუნვა სახელმწიფოს საკუთარ თაზე უნდა აეღო, ანდა, სულაც, ის შუამავალი უნდა მოენახა, რომელიც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ხელშეკრულებასაც გააფორმებდა და წარმატებითაც დააგვირგვინებდა ამ საქმეს. მაგრამ ვაჭართა ფენა, რომლისთვისაც რისკი ჩვეული საქმეა, საეჭვოდ მიიჩნევდა ესოდენ შორ მანძილზე მალფუჭებადი პროდუქტების ტრანსპორტირებას. რაც შეეხება ხორბალს, ქვეყანა საკმარი რაოდენობით შიდა მოხმარებისთვისაც კი ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ ბაზარს. მაგრამ ილიას მოსაზრება რუსეთთან პარტნიორობის შესახებ ყურადსაღებია თუნდაც იმიტომ, რომ იგი კარგად იცნობდა რუსეთის ბაზარს, ქვეყნის მასშტაბსა და შესაძლებლობებს და დარწმუნებული იყო: რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის შეღწევა საქართველოს ეკონომიკასა და პრესტიჟს წაადგებოდა. „ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არ აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია – სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სახეიროა რუსეთისთვისაც“, – წერდა ილია.

დროთა განმავლობაში რკინიგზის განვითარებით და ისტორიული აუცილებლობებით გამოწვეული სავაჭრო ურთიერთობები მართლაც შედგა, რამაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობა გამოიწვია, ხალხის მატერიალური მდგომარეობაც გაუმჯობესდა, მაგრამ ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ რუსეთის სახელმწიფომ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული სავაჭრო კავშირები სრულიად მოშალა პოლიტიკური მიზეზით; საქართველოზე ზეწოლის მიზნით რუსეთის ბაზრიდან ქართული ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული,

ღვინო და მინერალური წყლები გამოაძევეს. საქართველოს ეკონომიკას დიდი ზიანი მიადგა. ქვეყანა ახალი სავაჭრო პარტნიორის ძიებაშია (რაც აბსოლუტურად სწორი პოლიტიკაა), ფერმერად მონათლული გლეხი კი მოწეული მოსავლის პირისპირ მარტო დარჩა.

სოფლის მეურნეობის დარგების სპეციფიკურ თავისებურებათა ცოდნა საშუალებას აძლევდა ილია ჭავჭავაძეს ნათლად დაესაბუთებინა მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მებოსტნეობა-მებაღჩეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, ჩაის, სუბტროპიკული და სხვა ძვირფასი კულტურების განვითარების აუცილებლობა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისათვის. ილიამ იცოდა, რომ თითოეული ეს დარგი წარმოადგენს არა მხოლოდ ქვეყნისა და გლეხკაცის ეკონომიკურად გაძლიერების წყაროს, არამედ ქართველი ერის სამეურნეო ცხოვრების წესისა და კულტურის ორგანულად განუყოფელ ნაწილსაც, ბუნებრივად მისადაგებულს ქვეყნის ისტორიულ მხარეებთან. ამ ფონზე რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს, არც თუ იშვიათად, საუბარი გვიწევს არა თუ ტრადიციული დარგების შემდგომ განვითარებასა და რაციონალურ შეთანაწყობაზე, არამედ რიგი მათგანის (მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეჩაიეობა, ეთერზეთების წარმოება, მეცხვარეობა და სხვ.) თვითშენარჩუნებასა და გადარჩენაზე.

საქართველოში ვაზისა და ღვინის კულტი ოდითგანვე იყო დამკვიდრებული (7-9 ათასი წლის წინათ, – პ. ჟუკოვსკი, რ. ეაინჰოლდი, ა. ნეგრული ე. კაგაროვი და სხვ.). არქანჯელო ლამბერტი წერს: „ვინ იცის, იქნება ძველებმა იმიტომ უწოდეს ქართველებს გიორგიანი, რომ პირველად ნოემ ამ ქვეყანაში ავარჯიშა ეს ხელობა და იქნება „დაბადებამ“ აქ ქვეყნის მკვიდრთ ამისათვის უწოდა პირველი მიწის მუშაკნი. „და იწყო ნოემ

კაცმან საქმედ ქვეყნისა და დაასხა ვენახი“. აქ ბერძნულ თარგმანში წერია: (ნოე) „ანთროპოს გეურგოს“ (ნოემ, კაცმა მიწათმოქმედმა – პ.კ.) იქაურებს დღემდის მარტო სახელი კი არა, ჩვეულებანიც თავისი პირვანდელი წინაპრებისა შერჩენიათ. მართლაც, მიწის მუშაობას როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში ისე ეტანებიან, რომ ყველას კეთილშობილურ საქმედ მიაჩნია თავის ყანაში მუშაობა. სხვა რომ არაფერი იყოს, ნოესაგან მათი ჩამომავლობა, მათი ჩვეულება ამტკიცებს, ყოველგან ვენახებს აშენებენ და ცდილობენ ბევრი ღვინო მოიყვანონ, რომელიც ძლიერ უყვართ“.

მართალია, ქრისტიანობამ ცეცხლს მისცა ვაზისა და ღვინის წარმართულ ღვთაებათა კულტები, მაგრამ საქართველოში მან თავად ვაზი ახალი რელიგიის სიმბოლოდ აქცია. წმინდა ნინოს ვაზის ჯვრით ხელში შემოსვლა საქართველოში დასტური იყო იმისა, რომ მან იცოდა, რაოდენ მაღალგანვითარებულ (იგულისხმება მევენახეობა) ქვეყანაში შედიოდა განმანათლებელი. რაც შეეხება ქართულ საგალობელს „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული...“ (მეფე დემეტრე პირველი), მან საუკუნეებს გაუძლო,- და ერის მუსიკალური საგანძურის მშვენებას წარმოადგენს. ქრისტე გვმოძღვრავს: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“, „მე ვაზი ვარ თქვენ კი ლერწები“ (იოან. 15.1.5.6). ვაზი ქართველ კაცს „სიცოცხლის ხედ“ მიაჩნდა. ყურძნის წვენს ქართველები მიიჩნევდნენ წმიდა სასმელად. თეიმურაზ ბაგრატიონი გადმოგვცემს: „შესუმიდეს ღვინოსა ახალსაცა და ძველსა, აღუნთებდეს სანთელთა დიდ-დიდთა შთამოსხმულთა ცვილთაგან“.

ქართველი კაცი ღვინის დაყენებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყურძნის მტევანს ალალი კაცის

მარჯვენა უნდა შეჰხებოდა. ღვინო მხოლოდ ყურძნის წვენის დადუღებით მიიღებოდა და ამ წესის დაუცველობა წარმოუდგენელი იყო. ქართველი მევენახის სინდისი ზედაშეა, რომლითაც ინათლებოდნენ მისი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ღვინის დაყენების ქართული წესი: კახური (ჭაჭაზე სრული დადუღებით, ექსტრაქტული ღვინოები), იმერული (ჭაჭაზე დადუღების გარეშე, არაექსტრაქტული ღვინოები), რაჭული (ჭაჭაზე ნახევრად დადუღებით).

„ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა“, – ბრძანებდა ილია. „ღვინის კეთებას ჩვენში მრავალი ათასის წლების ისტორია აქვს და, მაშასადამე, არის რა მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თვისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპულს უფრთხის, ერიდება დღესაც... ჩვენებური ღვინის კეთება მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური შეურეველი თვისება ჰქონდეს“. ქართული ღვინის უმთავრესი ღირსება „ბუნებრიობაა“, მხოლოდ „ნატურალობაა“, ამიტომ განსაკუთრებული სერიოზულობით იბრძოდა დიდი მწერალი ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნული ტრადიციების დაცვისათვის ბრძოლა უშუალოდ უკავშირდებოდა ფალსიფიცირებული ღვინოების მავნეობის გამოვლენასა და ამგვარი ღვინოების დაყენების უარყოფის კამპანიას. ღვინის ფალსიფიცირების ხერხები და მეთოდები ევროპიდან რუსეთის გზით ჩვენში შემოსულ ე.წ. „სიახლეთა“ ნაკადს მოსდევდა და ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდა. აქ ილიას მხედველობაში ჰყავდა არა ჭეშმარიტი ევროპელი მეღვინეები, არამედ ისინი, ვინც „გამორჩომისათვის“ ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ და „ბუნებურ“ ღვინოს ათასგვარის

„ოსტატობით“ აბეურებდნენ. „რაც ბუნებური ღვინისათვის საჭიროა, ჩვენც იმოდენად ვიცით, რამოდენადაც ევროპელთა“.

ილია ჭავჭავაძე ქართველ მეღვინეთა გასაგონად აცხადებდა: „თუ ჰსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ ადგილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბს ღვინოებს აჯობოს და გზა დააცლევინოს, ეს მარტო იმით შეიძლება მოხდეს, რომ გასამკლავებლათ ყალბ ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წაეუყენოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭველია“. ამაზე ლოგიკურად და მიზანდასახულად გზის ჩვენება ალბათ ძნელი წარმოსადგენია!

***

საინტერესო და დღემდე აქტუალურია ილია ჭავჭავაძის თვალთახედვა მთის პრობლემების მოგვარებაზე. მას ღრმად სწამდა, რომ საქართველოს მთიანეთში მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის – მთიანეთის – აღორძინების და თავდაცვის უპირველესი პირობა იქნებოდა.

საქართველოს ცალკეულ მხარეთა სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ამოცანები და მათი მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებლობა დღის წესრიგში აყენებდა სამიმოსვლო გზების გაყვანისა და მოწესრიგების საკითხს. უკვე აშკარა იყო, რომ ქვეყნისთვის უგზოობა დიდ სირთულეებს ქმნიდა ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში, სერიოზულად უშლიდა ხელს ერის კეთილდღეობის ამაღლებას. „მგონი, არც ერთ ქვეყანას ისე არ ეჭირვება კარგი გზები, როგორც საქართველოსა“. აღნიშნულის გამო ერის მამის ზრუნვის ერთ-ერთ ძირითად საგნად საქართველოში და განსაკუთრებით კახეთში სარკინიგზო მიმოსვლის განვითარება გახდა. თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნორმალური სატრანსპორტო მიმოსვლა ქვეყნისა

თუ მისი ცალკეული მხარეების განვითარებისათვის, ნათლად ჩანს ილია ჭავჭავაძის სიტყვებიდან: „ორმოცის თუ ორმოცდაათი წლის წინათ ქიზიყის პურს ეჭირა მთელი ბაზარი ტფილისისა. ამას გარდა აქედამ მოდიოდა არაყი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, ბამბა, მშვენიერი სახელგანთქმული კახური აბრეშუმი, მშვენიერი სურნელოვანი თამბაქო, სამღებრო და სამკურნალო (სააფთიაქო) ყვავილი და ბალახი, აუარებელი ხილი, აუარებელი მატყლი, საკლავი საქონელი და მებრვე სხვანი“. ეს ყოველივე წარსულში იყო, რადგან შემდეგში უგზოობის გამო კახეთი ეკონომიკურად დაუძლურებულ მხარედ გამოიყურებოდა. ამ პრობლემის მოგვარებას მიეძღვნა დიდი მწერლის არაერთი წერილი და მიმართვა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლისადმი, რუსეთის იმპერიის გზათა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრებისადმი. ამასთან დაკავშირებით ილია ბრძანებდა: „კარგის გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლულევანებაა ხალხის ცხოვრებაში, გზების უქონლობა ხელს უშლის ხალხის ეკონომიკურ კეთილდღეობას, უკან აყენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინ მსვლელობას. გზები უადვილებს ხალხს ერთიერთმანეთში მისვლა-მოსვლას, აღებ-მიცემას, ნაწარმოების გასაღებას. ეს მარტივი და ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა. ეს ჭეშმარიტება აღიარებულია“.

„ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰაეა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა, სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება“, — ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე. დიახ: საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, ბიოპოტენციალი, აგრორესურსი და სხვა პირობები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია 10—12 მლნ ადამიანის გამოსაკვებად.

ამასთან, ის გამოირჩევა იმითაც, რომ აქ ადამიანის კეებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა და საკმარისი რე'სერვია. ეს ნიშნავს, რომ სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია არა მარტო საკუთარი მოსახლეობის გამოკვება სამამულო პროდუქციით, არამედ აგრეთვე მსოფლიოს მთელი რიგი სპეციფიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც.

***

ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის ილიასეულ პროგრამას გვთავაზობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე: *„საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის თავის ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს... ჩვენ არ უნდა შეგეშინდეს გლობალიზაციის, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენის წინაპართა ძალისხმევით არასოდეს დაგვიკარგავს თვითმყობადობა... მიხედეთ მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს ჩვენი წარმოებები, აყვავდეს სოფლის მეურნეობა.... საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს ქართულ სოფელს“.*

***

რა არის ილია ჭავჭავაძის კურსი დღეს?

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სასურველსა და შესაძლებელ მიმართულებაზე სერიოზული მსჯელობის კონტექსტში ცხადი არის მხოლოდ ორი რამ. პირველი: როგორი არ უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა. მეორე: რომელია და როგორია საქართველოს ეკონომიკური მომავლის ყველაზე სასურველი სახე.

სასურველია საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად (შემდეგ ეტაპზე – ინდუსტრიულ ქვეყნად, ზეგანვითარებული სოფლის მეურნეობით), რომელიც თვითონ დაიკმაყოფილებს თავის სასურსათო და სხვა საარსებო მოთხოვნილებებს, ექნება დადებითი სალდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტის საგნად – მეცნიერებატევადი სამრეწველო, მეცნიერული და მაღალი ხარისხის ნატურალური სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ეს სასურველი მიმართულება გულისხმობს საქართველოს სასურსათო და ზოგადად ეკონომიკურ უშიშროებასაც ანუ მისი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გარანტირებულ შენარჩუნებადობასაც გარე ძალების ნებისაგან დამოუკიდებლად.

თანამედროვე მსოფლიოში კონკურენცია მიმდინარეობს არა მარტო სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელებს შორის, არამედ ეროვნულ მეურნეობათა მოდელებსა და ეკონომიკის დარგთა ორგანიზაციისა და გაძღოლის ფორმებს შორისაც, რათა მიღწეულ იქნეს ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობა. ის, რაც ოპტიმალურია ჩინელისათვის ან ამერიკელისათვის, შეიძლება ჩვენთვის არ იყოს ოპტიმალური. ჩვენ გვაქვს ჩვენი ეროვნული სპეციფიკა, რომელიც განსაკუთრებული

თავისებურებებით წარმართავს ერის ყოფაცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, – მექანიზმები ადამიანთა ურთიერთობის რეგულირებისა ფსიქოლოგიური, ტრადიციისმიერი, ფასეულობათა სკალით განსაზღვრული, კულტურული, მიწასთან დამოკიდებულებისმიერი და სხვა; გაგვაჩნია განსხვავებული გეოპოლიტიკური გარემო, რესურსული პოტენციალი, ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული წარმოების წესი, საიდანაც მომდინარეობს საკვების შემადგენლობა, კვების თავისებურებები, კვების ხასიათი და ა.შ.; ყოველივე ეს, ბუნებრივია, მოითხოვს აგროსასურსათო სექტორის რეფორმირებისა და განვითარებისადმი განსხვავებულ მიდგომას, მის განხორციელებას ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, და არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის (თუნდაც ძალიან წარმატებულის) გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა-გამეორებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სფეროში შექმნილი უმწვავესი კრიზისის (პირველად ქვეყნის ისტორიაში, ქალაქად შობადობამ გადააჭარბა სოფლისას. მოიშალა სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურა. **სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას.** რაც ყველაზე უფრო დამაფიქრებელია, დღემდე სხვის იმედად მყოფი სოფლის მოსახლეობა ვერ ავლენს ბაზრის ელემენტარულ მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირების უნარს. ქართული სოფლისათვის დამახასიათებელი გახდა სიღარიბე, რაც ძნელად მოსაშორებელია) დაძლევის აუცილებლობა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც მთავრობამ უნდა შეიმუშავოს ქვეყნის სოფლის მეურნეობის გადარჩენის სტრატეგია, რაც ასევე გულისხმობს, ამ ხნის განმავლობაში, საქართველოს მაქსიმალურ ინტეგრირებას ევროატლანტიკურ

სიერცეში. უნდა გააქტიურდეს და უსწრაფესად დასრულდეს ევროკავშირთან მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობისა და მიმოსვლის შესახებ. ეს ავტომატური რეჟიმით გადაწყვეტს რამდენიმე პრობლემას: მიგრაციის; ეკონომიკის სტიმულირების; დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებისა და გაძლიერების; არსებული დემოგრაფიული ვითარების მინიმუმ, შენარჩუნების; ეკონომიკის განვითარებას მინიმალური სოციალური თვითუზრუნველყოფის ჭრილით, ისე, რომ **არ იქნეს განიავებული საქართველოს სტრატეგიული რესურსები – მიწა, ტყე, წყალი, სატრანზიტო ფუნქცია**. ძნელია ამ პერიოდის განმავლობაში დიდძალი კაპიტალის მოზიდვის იმედად ყოფნა, რადგან ეს არ მოხდება ფაქტობრივად ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მცირე კაპიტალტევადი დარგების – სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, ფარმაცევტული მრეწველობის (განსაკუთრებით, სამკურნალო მცენარეების წარმოების გაზრდის ფონზე) განვითარება.

საქართველომ სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სასოფლო-სამეურნეო სფეროში (განსაზღვროს, სოფლის მეურნეობის რომელი და როგორი მოდელი ესაჭიროება დღეს და სამომავლოდ). პრიორიტეტები ამ სფეროში ორი მიმართულებითაა: პირველი, სოფლის, როგორც ყოფის, შენარჩუნება და მეორე – სასურსათო უშიშროების განმაპირობებელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად ქვეყანაში უნდა ამოქმედდეს სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების პოლიტიკა. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის

მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს მრავალდარგოვანი აგრარული სექტორის რეფორმის უპირველესი ამოცანაა დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივება (კონსოლიდაცია), მიწის წერილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათი გადამმუშავებელ საწარმოებთან კოოპერირების სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობა (წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლი).

იმისათვის, რომ თავისუფალმა ბაზარმა შექმნას ის, რისი შექმნაც ზედმიწევნით კარგად ეხერხება – პროდუქციის სიუხვე – აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. ეს, პირველ ყოლისა, გამოიხატება სპეციალიზებული კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის (ურთიერთდახმარების, სოლიდარული პასუხიმგებლობის) ჩამოყალიბებით, რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს მოსავლის დაზღვევის სისტემის შექმნას. ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, ქიმიური საშუალებების, საწვავის, ნიადაგის აგროქიმიური კვლევის და ა.შ. უზრუნველყოფის ორგანიზება. უნდა წახალისდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სფეროში კოოპერირების გამოყენება, მარკეტინგული დახმარება და, ასევე, ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად უნდა იქცეს სასოფლო რაიონებში აგროტექნიკუმების ფართო ქსელის გამოყენება, რომელიც შეძლებს ფერმერების პრაქტიკული ცოდნითა და ჩვევებით

აღჭურვას და გამუდმებით მათი გადამზადების გარემოს ფორმირებას.

მთავრობის კომპეტენტურობა და აგროსასურსათო პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი, მიმართულება და დონე გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან გადარჩენაში დღეს და სამომავლოდ. საუკეთესო იქნება, საქართველოს მთავრობამ შექმნას აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო, რომელიც შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას, სოფლის განვითარების პოლიტიკას, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობ პოლიტიკას, განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს. საქართველოს პარლამენტს მისაღებად წარუდგენს კანონპროექტებს (ასევე, ცვლილებებს დღემდე მოქმედ კანონებში) და სხვას, რომლებმაც უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა ქვეყანაში აგროწარმოების აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

საქართველოს აგრარული პოტენციალის ამოქმედება უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი, რომელიც უზრუნველყოფს აგრომეურნეებს საჭირო შემოსავლებით, ცხოვრების მისაღები დონით და პროდუქციის გაფართოებული აღწარმოებისთვის საჭირო რესურსებით. ამასთან, გლეხებს უნდა მოეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, ბაზარზე ფასების ტენდენციების განსაზღვრის, კრედიტის ხელმისაწვდომობის, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის, გადასახადებისა და დაზღვევის საკითხებთან.

ქართული მიწისა და სოფლის გადარჩენა ჯერ კიდევ შეგვიძლია. გლეხკაცს – ქართული მიწის მთავარ მეურვეს – ძალუძს ააყვავოს სოფელი და ქვეყანაც გამოკეთოს.

ამისთვის საჭიროა:

– მიწას მივუდგეთ არა მხოლოდ როგორც პროდუქციის წყაროს, არამედ როგორც მოსახლეობის შემნახავსა და გამხარებელს;

– სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე (მოქალაქეობის არ მქონე პირებზე) კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქეების გაჩენამდე უნდა უგამონაკლისოდ აღიკვეთოს (ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებამდე);

– ყველა საშუალებით (სახელმწიფოს ეს საშუალებები მუდამ აქვს) უნდა შეექმნათ იაფი აგროსაკრედიტო სისტემა, სოფელი უზრუნველეყოთ იაფი სასოფლო-სამეურნეო საწვავით და განვითარებული საჯარო მომსახურებით (იაფი მელიორაციული და აგროტექზოოვეტმომსახურება);

– უზრუნველეყოთ ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების აღდგენა, გასარწყავებისა (რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია აღმოსავლეთ საქართველოში) და დაშრობის სამუშაოების აქტიური წარმართვა (რათა თავიდან იქნეს აცილებული მეორადი დაჭაობების პროცესი კოლხეთში);

– გზა გაუხსნათ იჯარას (გრძელვადიანისა და განსხვისებადის ჩათვლით);

– უზრუნველეყოთ რაციონალურ ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები;

– უზრუნველეყოთ იმპორტული (როგორც წესი, ეკოლოგიურად უვარგისი) პროდუქტის რეალური კონტროლი უვნებლობაზე;

– აღეკვეთოთ იმპორტზე დასპეციალებული მაფიური მონოპოლიზმი;

– ყველანაირად ხელი უნდა შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და ადგილზე გადამმუშავებელი საწარმოების შექმნას;

– სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეექმნათ კოოპერაციის განვითარების ცენტრი, რომელიც შეიმუშავებს კოოპერაციის განვითარების ერთიან სტრატეგიას;

– უნდა დავადგინოთ და დავიცვათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების პარიტეტი;

– შეექმნათ შეღავათიანი საგადასახადო და სადაზღვეო სისტემები სოფლის მეურნეობაში (რაც სახელმწიფოსთვის აგრეთვე სავსებით მისაწვდომია). 800 ათასი ჰექტარი სახნავის დამუშავებას მაქსიმუმ 720 მლნ ლარი სჭირდება. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ამ თანხის მცირე ნაწილიც (1/10) რომ გაიღოს სახელმწიფომ, სახნავის პრობლემაც გადაწყდება. ახალგაზრდა ნარგაევები სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე 4 წლით უნდა გათავისუფლდეს მიწისა და წყლის გადასახადისგან; შემცირდეს ან გაუქმდეს დღგ-სა და აქციზის გადასახადი სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელ დიზელის საწვავზე, გათავისუფლდეს აგროტექზოოვეტმომსახურება დღგ-ს გადასახადისგან. ასევე უნდა შემცირდეს მიწისა და წყლის გადასახადი 30%–30%-ით და სხვ. კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში შემცირდეს დღგ-ს გადასახადი არანაკლებ 10%-ით, ასევე, წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადი;

– შეექმნათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, სალიზინგო საქმიანობის, თემის სამეწარმეო მობილიზაციის, საგირაენო და საგარანტიო ფონდები;

– აღეადგინოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა

და აგრარულ მეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირი;

– ავალორძინოთ საქართველოს მთიანეთი, როგორც ჯანსაღი და ქვეყნისთვის აუცილებელი სამეურნეო ზონა. შევუქმნათ მთისა და მთისწინეთის მოსახლეობას ყოველმხრივი განვითარების პირობები;

– დავიბრუნოთ და ავითვისოთ როგორც ტრადიციული, ისე ახალი ბაზრები;

– უზრუნველვყოთ აგრომეურნეებისთვის მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია.

ეროვნული ბაზრის დაცვის მიზნით, საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა ის ბერკეტი და მექანიზმი, რომელიც მას, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრ ქვეყანას, გააჩნია (უპირველესად ე.წ. დამცავი ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ისეთი სწრაფმზარდი იმპორტის მიმართ, რომელიც ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებელს ან ქმნის ასეთი ზარალის მიყენების საფრთხეს, სეზონური ფასები და სხვა). ასევე, მთელი ყურადღება უნდა გადავიტანოთ ადგილზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე. როგორც ერის მოძღვარი გვასწავლის, „მიწისა და ხელის მოცდენა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, ჩვენი ფიქრით, დიდი შეცდომაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც ეხლა იეფად სასყიდ ჭირნახულს ვახმარებთ, რომ უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ, ორგზით მოგებაში ვიქნებით“, და პროდუქციის ადამიანისთვის უვნებლობის სისტემურ შემოწმებასა და მიღებული შედეგების სისტემატურ გამოქვეყნებაზე.

ვმო-ს წევრობა საქართველოს აძლევს უფლებას სოფლის მეურნეობის დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. თუმცა იგი ამას თითქმის არ იყენებს. მაგალითად, ვმო-ს ე.წ. „მინიმუმის პროგრამით“, საქართველოს შეეძლო 2010 წლისათვის მთელი სოფლის მეურნეობის

მხარდასაჭერად გამოეყენებინა 212 მლნ ლარი, გარდა ამისა, მემცენარეობისთვის – 93 მლნ ლარი და მეცხოველეობისთვის – 112 მლნ ლარი. სულ 417 მლნ ლარი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქვეყნის აგრარული მეურნეობის აღორძინებას.

ტყუილია, რომ საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას დღეს მრავალმილიარდიანი ინვესტიცია სჭირდება, რადგან აგრარული სექტორი, როგორც დარგი, არ არის მზად მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების მოზიდვისა და საჭირო პროექტების განხორციელებისთვის. იგი გადაუდებლად საჭიროებს დაქუცმაცებული სასოფლო სამეურნეო მიწის ფონდის კონსოლიდაციას (რადგან უკიდურესად დანაწევრებულ მიწაზე რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მოსავლიანობის ამაღლება და არსებითი ეკონომიკური შედეგის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია) და სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირებას.

ათმაგად ტყუილია, რომ სოფლად დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ 2-3 პროცენტი მოსახლეობისა. სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩენად და გასახარებლად. დემოკრატიულ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თავს ირჩენენ სოფლის მეურნეობით, როგორც წესი, ორჯერ და მეტად აღემატება იმათსას, ვინც უშუალოდ ხნავს, თესავს, სხლავს, თიბავს და ძროხას წველის. დღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ნორმატიული სიდიდე 450 ათასი კაცია, მომავალში იგი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ქართული სოფლის სპეციფიკური თავისებურებების გამო, სასოფლო მოსახლეობის 15–20%-ის ფარგლებში დარჩება (დაახლოებით 300 ათასი კაცი).

საქართველოს წინაშე დღეს უკვე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ამოცანები რეალურად მოითხოვს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა. სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას), ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია კონკურენტული უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება მეტად საჭირო და გარდაუვალი აუცილებლობაა.

რაც შეეხება საკარაულო დარგობრივ სტრუქტურას, აქ უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს იმპორტის ჩამნაცვლებელი და ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოებას (მოცემულია ფართობების მიხედვით). მათ შორისაა: მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია). შესაბამისი აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში პირველ ეტაპზე (300000 ჰა-ზე) შეიძლება ვაწარმოოთ 1,0-1,1 მლნ ტონა მარცვლეული, ხოლო მეორე ეტაპზე (380 000 ჰა-ზე. მ.შ. საფურაჟე მარცვლეული – 130 ათასი ჰა) 1,4-1,5 მლნ ტონა. საკუთრივ ხორბალი შეგვიძლია ვაწარმოოთ ჩვენი მოთხოვნილების 65-70%-ის ფარგლებში. მიწათმოქმედების ინსტიტუტის ტექნოლოგიურ რუკებზე დაყრდნობით შესრულებულმა გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში წარმოებული 1 ტონა ხორბლის ღირებულება 25-30 აშშ დოლარით

ნაკლები იქნება დღეისათვის ქვეყანაში იმპორტირებულ ხორბლის ფასთან შედარებით, მეცხოველეობა და მისი პროდუქცია, ზეთოვანი კულტურები (მზესუმზირა – 15 000 ჰა, სოია – 14 000 ჰა). ასევე: ხეხილი (ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, ბალი, ალუბალი) – 50 000 ჰა (მ.შ. ახალგაზრდა ნარგაობა – 6 000 ჰა), ციტრუსი –12 500 ჰა (მ.შ. ახალგაზრდა ნარგაობა – 2 000 ჰა), ხურმა, ლეღვი, ფეიხოა, კივი, ბუშმალა – 10 000 ჰა, თხილი, პეკანი, კაკალი – 15 000 ჰა, ვაზი – 50 000 ჰა (მ.შ. ახალგაზრდა ნარგაობა – 5 000 ჰა), ჩაი – 15 000 ჰა, ბოსტნეული და ბაღჩეული – 40 000 ჰა, კარტოფილი – 20 000 ჰა, შაქრის ჭარხალი – 3 000 ჰა, სტევია – 500 ჰა, კენკროვნები, ეთერზეთები, დაფნა – 10 000 ჰა, ტუნგო, ევკალიპტი, თუთა – 12 ათასი ჰა (ერთეული ნარგაობის ჩათვლით), თამბაქო, აბრეშუმის პარკი – 3 000 ტონა, თაფლი (შეიძლება ვიყოლიოთ 600 000 სკა) – 10-12 ათასი ტონა და მათი გადამუშავების პროდუქტები.

საქართველოს ძირითადად ნატურალური აგროპროდუქციით შეუძლია შეაღწიოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე. მან, მისი მცირემიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გააკეთოს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხზე, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების განვითარებას, რომლის საწარმოო ბაზა ქვეყნის მთელი მთიანეთია.

მრავალწლოვანმა ნარგაობამ ძირითადად უნდა დაიკავოს მისთვის ტრადიციულად განკუთვნილი, შედარებით მაღლობი ადგილები (სამხრეთის დაქანების ფერდობები), ხოლო ბარი დაეთმოს მარცვლოვნებს და სხვა ერთწლიან (მ.შ. მეცხოველეობისთვის საკვებ) კულტურებს.

საქართველოს მთასა და მთისწინეთში მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის – მთიანეთის აღორძინებისა და თავდაცვის უპირველესი პირობა იქნება. მეცხოველეობის საკვები ბაზის, ჯოგის სტრუქტურისა და ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესების გათვალისწინებით, ქვეყანაში შეიძლება ვიყოლიოთ 1,5-1,6 მლნ სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ღორი სულ მცირე – 1,2 მლნ სული, ცხვარი და თხა – ზაფხულში 2,0 მლნ, ხოლო ზამთარში არა ნაკლებ – 1 მლნ სულისა. აქვე უნდა ითქვას მატყლის დამზადებისა და მისი პროდუქციის წარმოების (მ.შ. ხალხური რეწვის) ხელშეწყობის შესახებ, რომლის გარეშე მეცხვარეობის განვითარებაზე საუბარი მეტად რთული იქნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ისეთი სწრაფმწიფადი და მაღალი უკუგების დარგები, როგორიცაა მეფრინველეობა (შეიძლება ვიყოლიოთ 20-25 მლნ ფრთა და ვაწარმოოთ 1 მილიარდ 400 მილიონი ცალი კვერცხი) და მეთევზეობა (სატბორე მეურნეობათა შესაძლებლობის გათვალისწინებით, თავისუფლად შეიძლება ვაწარმოოთ 75–80 ათას ტონაზე მეტი ნედლი თევზი). აქ ყველა რეზერვია საკუთარი წარმოების პროდუქციით მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის.

აქვე გთავაზობთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სამოქმედო გეგმის (სტრატეგიის) ძირითად მონახაზს.

გადასაწყვეტი პრობლემები:

– სოფლის სტატუსის განსაზღვრა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაცია, სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირება;

– სოფლის მეურნეობის საწარმოო და სოციალური

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით;

– შესაბამისი პროფილის გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებთან აგრარულ საწარმოთა (კოოპერატივთა) ინტეგრაციისთვის ხელშეწყობა;

– აგრომწარმოებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ადგილებზე საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ფორმირება;

– ფერმერთა გადამზადება საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების გათვალისწინებით;

– სოფლის მეურნისათვის მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია;

– ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა და ორიენტირება აგროსასურსათო სექტორის სწრაფ განვითარებაზე (ფასების პარიტეტის დადგენის, ეფექტიანი საგადასახადო, აგროსაკრედიტო და სადაზღვევო სისტემის გამოყენებით, იმპორტის ჩანაცვლებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მაღალი ტემპით განვითარება);

– აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ევრო-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სამოქმედო გეგმა

I. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაცია და პარცელარული მეურნეობის ნეგატიური შედეგების ლიკვიდაცია

ა) „სოფლის სტატუსის შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო მიწის კონსოლიდაციის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს

კანონის პროექტების შემუშავება და პარლამენტში წარდგენა დასამტკიცებლად;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მარკეტინგული და სხვა საწარმოო-სამეურნეო მიმართულების კოოპერატივების ჩამოყალიბება, მათთვის სათანადო შეღავათების შეთავაზების გზით.

II. სოფლის მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით

ა) სარწყავი წყლის რესურსების აღრიცხვა და გამოყენების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება;

ბ) სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება;

გ) სათესლე და სანაშენე საწარმოთა რეაბილიტაციისთვის ხელშეწყობა;

დ) აგრონედლეულის გადამმუშავებელი კეებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების რეაბილიტაცია აგროსექტორის განვითარების შესაბამისად;

ე) სასაწყობო, სამაცივრო და სხვა საჭირო სიმძლავრეთა მშენებლობა პროდუქციის გრძელვადიანი შენახვისა და რეალიზაციის მიზნით;

ვ) განვითარებულ ქვეყნებში არსებული უახლესი მანქანათა სისტემების (მათ შორის სამთო მიწათმოქმედებისთვის) გადმოტანის და ათვისების მიზნით სოფლად ტექმომსახურეობის თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება;

ზ) წყალმომარაგების, გაზიფიკაციის, საგზაო და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა პრობლემების დარეგულირება.

III. სოფლად საქონელმწარმოებელთა კვალიფიკაციის

ამაღლებისა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ადგილზე საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ფორმირება; ფერმერთა გადამზადება საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების გათვალისწინებით

ა) საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ქსელის შექმნა;

ბ) ფერმერთა გადამზადება სამეწარმეო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;

გ) აგრონომიული, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და აგრობიზნესის პროფილის სტუდენტთა სტაჟირება საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში;

დ) აგრარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრომეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა ურთიერთმისაღები პირობების შემუშავების საფუძველზე.

IV. სოფლად საქონელმწარმოებლებისთვის მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია

ა) „მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭების და რეგისტრაციის შესახებ“ შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და მთავრობაში დამტკიცება.

V. ეკონომიკური მექანიზმის ორიენტირება აგროსასურსათო სექტორის სწრაფ განვითარებაზე, ფასების პარიტეტის დადგენა, ეფექტიანი საგადასახადო, აგროსაკრედიტო და სადაზღვევო სისტემების ფორმირება იმპორტის ჩანაცვლებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მაღალი ტემპით განვითარებისთვის

ა) „აგრონედლეულისა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დადგენისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს

კანონის პროექტის შემუშაება და პარლამენტში დამტკიცება;

ბ) სპეციალიზებული აგროსაკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვეო სისტემების შესახებ საქართველოს კანონის პროექტების შემუშაება და პარლამენტში დამტკიცება;

გ) „აგროსექტორში გამოყენებული მანქანა-მოწყობილობების, აგრეთვე აგრარული პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო სათესლე და სანაშენე საშუალებათა საბაჟო გადასახადისა და დღგ-სგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება და პარლამენტში დამტკიცება.

VI. აგრარული ბაზრის დაცვა და ეკონომიკური რეგულირება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) მოთხოვნათა გათვალისწინებით

ა) ვმო-სგან მონიჭებული უფლებების – ანტიდემპინგური გადასახადის, სეზონური ფასების და ბაზრის დამცავი ღონისძიებების – გამოყენებით ბაზრის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენტებისგან.

VII. სახელმწიფო დაკვეთების ინსტიტუტის რეალური ამოქმედება ძირითადი სახეობის სურსათზე და პროდუქციის შესყიდვა თანამედროვე ფორმებით

ა) საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას და აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას;

ბ) ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (მარცვალი,

ხორცი, რძე, შაქარი, ზეთი) მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობისა და წონასწორული (სტაბილური) ფასების შენარჩუნების მიზნით ბაზარზე ინტერვენციის და ჭარბი პროდუქციის ამოღების სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურის შექმნა (ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის სფეროში).

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ:

– საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ სასურსათო უშიშროება ქვეყნის უპირველეს სტრატეგიულ მიზანთა რიგში შედის;

– ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ერთადერთი სუბიექტი, ვისაც ამ ამოცანის გადაჭრა ძალუძს, არის თვით სახელმწიფო;

– ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, ფუნქციონირების ურთულესი ტექნოლოგია როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფის საქმეში, ისე სოფლის მოსახლეობის სოციალური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და კულტურული დონის სრულყოფის საქმეში.

ამრიგად, საქართველოს ბედი დამოკიდებულია მისი სოფლის ბედზე. სოფლის ბედი დამოკიდებულია მთავრობის ინტელექტზე, კეთილ ნებაზე, მუყაითობასა და პატიოსნებაზე. ვფიქრობ, ამ პირობათა შექმნის პოტენციალი საქართველოს აქვს.

მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობის შექმნა აღიარებულ უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უპირველეს ამოცანად და საერთო ეროვნული ზრუნვის საგნად. მხოლოდ ასე გადარჩება ქართული სოფელი, რომლის გარეშე საქართველოს განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელია.

საქართველოს სოფლის აღორძინება უნდა მოხდეს ჩვენივე ძალებით. გადამთიელებზე იმედის დამყარება,

მათი მოპატიჟება „გადასარჩენად“ შეურაცხმყოფელი და ამასთანავე ფუჭი მცდელობა იქნება. დინამიკური სოფლის მეურნეობა უცხოელთა ჩამოსახლებით კი არა, მოქნილი სამოქმედო გეგმით (სტრატეგიით) იქნება შესაძლებელი. სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, გლეხკაცს – ქართული მიწის მთავარ მეურვეს (**ადგილის კაცი, მკვიდრი მიწათმოქმედი – ილია ჭავჭავაძე**) – შეუძლია არა მარტო ქვეყნის გამოკვება საკუთარი წარმოების პროდუქციით, არამედ სახელმწიფოს ძლიერების საძირკვლის ჩაყრაც.

***

დასასრულ, ისევ ილია ჭავჭავაძეს მოვუხმოთ: „დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დაჯდება, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს ეკონომიურად წელში გაიმართოს. ყველასაგან გათელილი, ყველასაგან დაბრიყვებული, ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავისი ძალღონით არ ჰლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე“.

„განწირვა მაშინ არის დიდსულოვნების საქმე, როცა გამწირველი თვითონ დიდს რასმე· ჰკარგავს“, – ბრძანებდა ილია. „ერის მოძმემ ჭმუნვასა და სიხარულში“ ერს სიცოცხლე შესწირა, – სიცოცხლე ქართველი ერის განმანათებლისა და სათაყვანებელი პიროვნებისა, – და დაუტოვა ერს გულმაგარი სიტყვა: „მხნე იყავ და გაძლიერდი“.

ილიას ფუძემდებლური და მის მიერ გაწვრთნილი თაობის პრინციპია: უნდა ვიბრძოლოთ ბრძოლისა და შრომის იმ ტექნოლოგიების დაუფლებისათვის, რომლებიც ყველაზე მაღალია დღეს, ეს არის ჩვენი ცხოვრების პრაქტიკული პრინციპი. მორალური პრინციპი კი

და ე.წ. ემოციური მუხტი ზუსტად იმავე სიტყვებით გამოითქმის, როგორც გუშინ, გუშინწინ, ხვალ და ზეგ: „ნანა, მამულის მსხვერპლო, პაწაწინა ქართველო“. ამ მეორე, ფსიქოლოგიურ ერას ჯერჯერობით – მაგრამ ძალიან დიდი ხნის მანძილზე – დროთა სელაზე გამარჯვებული, ილიას შარავანდით მოსილი სახე გაგვინათებს.

ილია ჭავჭავაძე გვასწავლის: „უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი... ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა სულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს, და აგრეც არის, საცა ერი ერობს“. ქვეყნის სიძლიერე და მთლიანობა, წინაპართა და შთამომავალთა კავშირი სწორედ ამგვარ ურყევ ერთობას ეფუძნება. დღეს მცხოვრები მოქალაქე პასუხისმგებელია არა მხოლოდ თავის თანამოქალაქეთა წინაშე, არამედ წინაპართა და შთამომავალთა წინაშეც.

ილია ჭავჭავაძის პოლიტოლოგიური აზროვნების დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან დაახლოებით 130 წლის წინსწრებით განჭვრიტა ის ორი მთავარი ფაქტორი, რომელთა გამოც საქართველოს გამოხსნა რუსული იმპერიის ხელიდან ისტორიული აუცილებლობა იყო:

პირველი. მსოფლიო მიდის დემოკრატიზაციის გზით, დემოკრატია კი კოლონიალიზმს არ იგუებს.

მეორე. რუსეთი ჩამორჩენილია ევროპასთან შედარებით, მას არ აცდიან იმ დიდი ლუკმის მონელებას, რომელიც გადაყლაპული აქვს.

130 წელიწადი პოლიტიკური პროგნოზისათვის ძალიან დიდი დროა!

ყველა დიდი მოაზროვნის წინასწარმეტყველება ფასდაუდებელია ქვეყნისათვის, როგორც პერსპექტიული ხედვა მომავლის რეალური სურათისა. ასევე, ილია

ჭავჭავაძის მიერ დასახული გზა, ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამა „უკეთესი ქვეყნის“ შენებისა, მხოლოდ ერის ერთიანობითა და თანხმობითაა შესაძლებელი. როგორც გიორგი მთაწმინდელი ბრძანებდა: „ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართეა!“

ეს XXI საუკუნის საქართველომ უნდა შეძლოს.

„მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (მათ. 20.16). მხოლოდ ამ სიტყვების წარმოთქმა იყო ილია ჭავჭავაძის მხრიდან უმაღლესი სასჯელი ნაკლებ გამჭრიახი ახალგაზრდა თუ ხნოვანი თანამემამულისათვის, თუ შეატყობდა, რომ მისი შეთავაზებული გზის დანახვა არ ძალუძს ან მისი შეთავაზებული მძიმე ტვირთის მოკიდება არ სურს. ასეთ შემთხვევაში ილია კამათს წყვეტდა და უკომენტაროდ ტოვებდა შეკრების ადგილს.

დიახ, მან თავისი ფასი იცოდა, იცოდა, რომ მრავალი ეწვევა ამ წუთისოფელს, მაგრამ მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ ერის სამსახურში დგომა, დროის ფეხდაფეხ მიყოლა და რაციონალურად საქმეთა წარმართვა.

აკი ამიტომაც ბრძანა კიდევ ერთმა გამოჩენილმა ქართველმა გრიგოლ რობაქიძემ, რომელსაც გერმანიაში ცხოვრებამ კიდევ უფრო გაუმძაფრა ქართული გენი: „ილია – კარდუს დიდი მოურავია“, რისთვისაც მინიჭებული აქვს კოსმიური მედალიონი – „მარად მყოფი“.

4 იანვარი 2013 წ.
თბილისი

მკითხველლო დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე.
ილია ჭავჭავაძე



ილია ჭავჭავაძის გამონათქვამები: დაკვირვებები, განჭვრეტები და შეფასებები

მიწის შესახებ

არ არის ქვეყნიერობაზედ სხვა-გვარი ქონება, რომ ორმოც და ორმოც-და ათს წელიწადს გასძლოს მთლად, უნებლად, დაუკლებლად, როგორც მიწა სძლებს.

ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა მიწათმოქმედებაა.

დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგეიბრუნოს, ტყუილად კი არ ეძახიან მიწას: „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე-და-ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის.

ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედი ქვეყანაა. ერთად-ერთი მრეწველობა, რომელზედაც დღეს დამყარებულია ჩვენი კეთილ-დღეობა, ჩვენი სიმდიდრე, ჩვენის ერის გამორჩომა და კვება, მიწასა და მიწის კეთებაზედ არის მიქცეული.

ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, – მიწა და გუთანია.

იქ, სადაც კაცი თავის მამულის კუთვნილებაზედ გულდაჯერებული და დაიმედებული არ არის, ყოველი გზა წარმატებისა და კეთილდღეობისა შეკრული აქვს: იქ კაცი ვერც თვითონ ხვირობს და ვერც სხვას ახვირებს.

ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან... ხსნა ჩვენი ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე.

სხვადასხვა ადგილას ეს „საკომლო“ სხვადასხვა ზომისა იყო, ზოგან ათი დღიური, ზოგან ორმოცი და სამოციცა... აშკარად ჩანს, რომ ეგ საკომლოს სიდიდე იმაზე იყო დამოკიდებული, სად რამდენი მამულია საკმარისი ცალკე კომლის სარჩენად და სახელმწიფო და სასოფლო სამსახურის გადასახდელად. საკომლო მთაში ერთი ზომისა იყო, ქართლში მეორისა, კახეთში მესამისა და ასევე სხვადასხვა ადგილას.

მიწა ჩვენშიაც, როგორც ყოველგან სხვაგან, უფრო მკვიდრი და მტკიცე თამასუქია, ვიდრე სხვა-გვარი ქონება, იმიტომ რომ საზოგადო წარმოების გამო მრავლდება ერი; ერის გამრავლებით მიწას მუშტარი ემატება, მაშინ როდესაც თითონ მიწა კი არც მატულობს, არც იზრდება, რაც ბუნებას გაუჩენია – მასზედ მეტი ვერ გახდება. მუშტარის მომატებას ამ შემთხვევაში მიწის ფასის აწევა მოსდევს და ამ სახით მიწა, დღეს გირაოდ მიღებული, შესაძლოა ათს და ოცს წელიწადს ერთიორად მეტის ფასისა გახდეს.

ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მამული, ჩვენი მიწა-წყალი, უმისოდ ჩვენი თავი ვერც კი წარმოგვედგინა, და ამ სიყვარულმა, ამ მიკერებამ მიწაზედ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, შეჰქმნა თვით ჩვენი ისტორიაც.

გლეხკაცის შესახებ

კიდევ დალოცა ღმერთმა გლეხნი: კაცური-კაცობა თუ არის სადმე, კიდევ იმათშია.

გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ...

მყობადი იმისია, ვინც მიწაზედ ფეხდადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ. თითონ დიდი რომი, თითქმის მთელის ქვეყნის მპყრობელი, დაეცა, იმიტომ – რომ მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანი კი არა.

მარტო გამრჯელი და მხნე კაცია ქვეყნის შემნახველი, ქვეყნის გამომკვებელი, ქვეყნის სიმდიდრის დამადგინებელი.

მხნე და გამრჯელი კაცი არ უნდა შეუშინდეს სიდიდეს საქმისას და, მაშასადამე, გაძღოლისასაც.

უბრალო გლეხობაა სული და გული ჩვენის ეროვნული იმედებისა.

ადგილობრივმა, მკვიდრმა მცხოვრებლებმა უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თვისი საჭიროება, უკეთ იციან თვისი თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა.

გლეხთან სიტყვა ფრთხილად იხმარე!

გლეხკაცი საქმის კაცია, დრო და მოცდენა ძვირად უღირს.

გლეხ-კაცის ბედი ბაზრის სათამაშოდ არ უნდა გახდეს.

ქართველი გლეხი თავისის ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეა.

ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა კაცმა ადგილობრივის ბუნებისა და ხალხისა თუ არა იცის რა, იგი ამისთანა საქმეში, როგორც ახალის რისამე გასაჩენად შემოღებაა, ერთს ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადასდგამს.

ქვეყნის ეკონომიური სიმტკიცე და ძლიერება გლეხკაცობის მიწათმფლობელობაზეა დამოკიდებული. რამოდენადაც ეგ მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზედ დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათ-მოქმედებისათვის, იმოდენად ქონებითი ძალ-ღონე ქვეყნისა, თუ სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი.

მიწათმოქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა. ამგვარობაში ჩვენი გლეხია ღირსშესანიშნავი.

ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფეხ-მოკიდებულია და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით კი არა, არამედ სულითაც და გულითაც. ესე იგი ზნეობითადაც შემსჭვალულია. მისი სოფელი მისი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრია“ თავის სოფლისა და სხვა თავ-მოსაწონებელი სახელი არ იცის.

ჩვენებურის გლეხისათვის ტყე ისე საჭიროა, როგორც არსობითი პური. უტყეოდ ჩვენებური გლეხკაცი ვერ დადგება ისე, როგორც უპუროდ.

ძნელია ჩვენის გლეხკაცისათვის ადგილიდამ დაძერა. ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი დანაშაული, რომელსაც

„მაწანწალობა“ ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვიან და არა „მდგმური“, როგორც ზოგიერთ ენაშია.

ჩვენებური გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს, მართალია – ბუნდი, წარსულის ღრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაჭედილი გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი, სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა.

ჩვენებური გლეხის სიმდიდრე დღესაც ფულიანობით კი არ იზომება, არამედ პურისა და ღვინის მეტნაკლებობითა, ესე იგი მიწის მოსავლითა.

ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ეაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია.

ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშაეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ...

დიდი პატივი აქვს ჩვენის გლეხკაცის თვალში ყოველს მას, რასაც-კი სოფლის სახელით ეტყვიან. სოფელი ჩვენებურ გლეხკაცისათვის დიდი ავტორიტეტია; ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხკაცი: ორმა კაცმა რომ გითხრას, ბრმა ხარო, უნდა დასჯერდეო. რაც უნდა ცუდად გადაუწყვიტოს საქმე სოფელმა, ჩვენებური გლეხკაცი სოფლის ცუდ გადაწყვეტილებას უფრო შეიწყნარებს, ვიდრე გარეშე კაცის ცუდ განაჩენსა.

სოფლის მეურნობის შესახებ

რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა.

საცა მთავრობას სოფლის მეურნეობის საჭიროების გამომთქმელ ორგანოდ თვით საზოგადოება ჰყავს და ამ საჭიროების პასუხის-საგებად და დასაკმაყოფილებლად მარტივი მთავრობითი წყობილება, იქ სოფლის მეურნეობა დღედადღე წინ მიდის ხალხისა და მთავრობის საკეთილდღეოდ.

საძოერების საქმის დაულაგებლობა, მოუწყობლობა, ერთი უდიდესი ნაკლია ჩვენის საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა. ამისთანა ადგილას, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, საცა ჰავა, ამინდი ნებას აძლევს კაცს საქონელი გამოჰკვებოს თითქმის მთელს ზამთარ-ზაფხულს გარეთ მინდორში, ეს ნაკლი ძლიერ უნდა ხელს უშლიდეს მიწათმოქმედსა და ზიანს აძლევდეს.

ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან იცოდნენ ყადრი წყლის მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც, როგორც კანონმდებლობა ჩვენი, ისე ზნე-ჩვეულება, წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისათვის დიდ უფლებას აძლევდა კაცსა.

ქართველობის ძალა ძველის-ძველ დრომდე მიწის შემუშავება, მეურნეობაა. ჩვენი ძალა იმ თავითვე სოფელი იყო...

ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია

და სოფლური მეურნეობა.

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ, რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება.

ვაზი, ვენახი, ვით ხვნა-თესვაზე უმაღლესი და ურთულესი კულტურა მიწათმოქმედებისა, და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება უფრო მეტს გონების გარჯას და მოხერხების ძალას ჰთხოულობს, ვიდრე ხვნა-თესვა პურისა და ქერისა. აქ გონებას, საზრიანობას, ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიელი აქვს ვარჯიშობისა და აქედამ გახსნისა და წარმატებისაც.

ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავე განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც, ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ.

ეხლა ადამიანს საომარ ადგილად ბაზარი გაუჩნდა, საცა ნაცელად ტყვია-წამლისა და თოფ-იარაღისა მოქმედობს ადამიანის ნაშრომი და მონაგარი და საცა გამარჯვება ჰრჩება მარტო ბევრის მომტან-გამტანს.

კონკურენცია აღებ-მიცემობაში მართლადა საკეთილოა წარმოებისათვის, მაგრამ მაგას საზღვარი აქვს. საზღვარი კიდევ ის არის, რომ ერთის მხრით სიკეთე ნაწარმოებისა სისრულემდე უნდა იყოს მიყვანილი და ფასი კიდევ რაც შეიძლება დაბლა დაწეულ იქმნას.

ღვინის შესახებ

ბუნებური ღვინო სხვადასხვა არის და ეგ სხვადასხვაობა დამოკიდებულია მიწის სხვადასხვაობაზედ. მძიმე, ესე იგი ღრმად სახნავს თიხიანს მიწას, მოჰყავს ღვინო მოჭირებულის ფერისა, ძლიერის სუნითა, გემრიელი და გამძლე. ქვიშიანს ადგილზედ ღვინო ისეთი მაგარი არ არის, სუნიც ნაკლები აქვს და უფრო ნაკლებად გამძლეა. აირრეულ მიწაში ღვინო უფრო ტკბილია და სუნით არ არის ძალიან გამოჩინებული. მშრალის ქვიანის ადგილის ღვინო ტკბილია, მაგარი, დიდხანს გამძლე და ძლიერი სუნი კი არა აქვს.

ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი ქეყანა თუმცა ღვინის მკეთებელი ქვეყანაა, მაგრამ მასთანავე ღვინის მსმელიც არის.

კარგი დამყენებელი ღვინისა თრთვილს ელის და მერე ჰკრეფავს ვენახსა.

ქართველი კაცი ღვინის მკეთებელი მართლმადიდებელია. ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა.

ღვინო მარგებელი სანელებელია, ყველა სანელებლებზედ გაცილებით უმჯობესი და უპატიოსნესი, იმიტომ რომ ყველაზედ უკეთ აღამაღლებს ხოლმე ადამიანის ჭკუასა და გულსა.

ყოველი მევენახისა და ღვინის მკეთებელი კაცისათვის ღვინო არამც თუ მარტო საჭირო და სასიამოვნო სასმელი... არამედ თავმოსაწონებელი და სახელგანმთქმელიც უნდა იყოს.

ჭეშმარიტი საგანი ღვინის კეთებისა, ამისი თავი და ბოლო ბუნებურის ღვინის შექმნაა, ესე იგი ყურძნის წვენის დაღვინოება იმ გზით, რა გზითაც თვითონ ბუნება ყურძნის წვენს საღვინოდ ამოქმედებს.

ჩვენებური ღვინის კეთება ისე აბუჩად ასაგდები, ისე მჩვარში გასახვევი არ არის, როგორც ზოგიერთსა ჰგონია, ევროპის მიხედვით თავბრუდასხმულთა.

ქვეყანამ იცის კახურ ღვინოების ღირსება. ეს ღვინოები ისეთის თვისებისაა, რომ ადვილად შეუძლიან მოცილეობა გაუწიონ... უცხო ქვეყნების ღვინოებს.

ჩვენებური ხალხი ძალიან ჰთაკილობს, ღვინოში ყურძნის წვენის მეტი სხვა რაიმე ჩაურიოს, და ვისაც ეგ კანტიკუნტად სადმე გაუბედნია, ყოველიეე ღონე უხმარია, არავინ შემიტყოსო, ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდა ჩვენში ყველას, წმინდა წვენი ბუნებისაგან მოცემულის ყურძნისა წაეწყმიდა და შეებღალა რითიმე თავისგნით ჩამატებულით და ჩარევითა.

განათლების, მეცნიერებისა და შრომის შესახებ

ქართველი ერი ყოველთვის მისდევდა განათლებასა და სწავლას.

ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია.

კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გალესილია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი!

მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონედ მარტო ცოდნა და განათლებაა.

სწავლა-განათლება თვითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ

ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ.

სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვეღარ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე.

სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავალის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება.

განათლება ჰგავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბოს და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს.

მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამისა ღონედ მარტო ცოდნა და განათლებაა.

ნიჭს ზრდა, წვრთნა, გახსნა და გაშლა უნდა.

მეცნიერება და ხელოვნება – ეგ სახელოვანი სალარონი კაცის გონიერებისა – არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიისაგან დაშთომილ საუნჯისა.

მეცნიერება სალაროა, საცა აწყვია უკეთესი განძი, ადამიანის უკეთესის ჭკვითა და გრძნობით მოპოვებული; იგი უდიდესი ტაძარია, საცა დაყუდებულია დიდებული ხატი კაცობრიობისა, ადამიანის ჭკვითა და გულით ძვირფასის თელებით შეჭედილი, საცა განუქრობლად ანთია უმშვენიერესი ხომლი ადამიანის ჭკვითა და სულით ანთებულის ჭეშმარიტებისა.

მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა.

რაც არიან აწინდელნი მოღვაწენი ჩვენის ერისა –

ღმერთმა ამრაელოთ, დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! ჩვენა გვჭირია ამათზედ ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი, ბევრად მომქმედნი.

შრომა ცხოვრებაა, ცხოვრება სიამოვნებაა.

ახლაც ომია, ხოლო სისხლის დაღერისა კი არა, – ოფლის დაღერისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი; ამ ომმა არც ბუკი იცის და არც ნაღარა; უბუკ-ნაღაროდ სთიბაეს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისპირულ, შხაპუნა ნიაღვარს კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს. „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა... ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო.

ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეარცხვინოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცს კაცად ქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის-თავს კაცად სცნობს და აღიარებს.

ცოდნა ვენახზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზედ უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვავი.

ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომაეალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს.

ისტორიისა და პოლიტიკის შესახებ

ოცს საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმაელობაში, ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო.

ქართველი ერი ორი ათასი წელიწადი სცხოვრებს ისტორიულად და ნუ თუ ჰგონია ვისმეს, რომ მისი ყოფა-ცხოვრება შემთხვევის საქმეა და არა ისტორიულ მომჭირნეობისა, ჭირნახულობისა და გამონაცადისა. თუ ესეა, ნუ თუ ჰგონია ვისმეს, რომ მის ეკონომიურს თუ სხვა ფერს ყოფა-ცხოვრებას ღრმად გაჭრილი არა ჰქონდეს საკუთარი, თავისებური საძირკველი, რომელზედაც ერს დუღაბ-კირად უხმარია თავისი გამოცდილება და ქვათ – თავისი სულიერი და ხორციელი მიდრეკილება.

დაიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა.

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გაესცემთ შთამომავლობას?

ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უკლია.

ისტორია იმითია დიდი, რომ გვიჩვენებს ჩვენ წინაპართა ცდომილებას, მასთანაეე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ.

მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.

რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენიერად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოერების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა.

რამდენადაც ბევრნი ვიქნებით, იმდენად ძალაც მეტი გვექნება.

რაც მოხდა, მოხდა, წარსულს ველარ დავიბრუნებთ, დაგვრჩა სამაგალითოდ ჩვენი კაცობრივი შეცდომანი, რომელნიც უნდა იყვნენ სარბიელათ ეხლანდელის მტკიცე კვალის გამოკვლევისათვის.

ქართველები ისეთნი არიან, როგორნიც უნდა იყვნენ, როგორც დროს და ისტორიას მოუტანია...

ჩვენი ცდა რაში უნდა მდგომარეობდეს? იმაში, რომ, რაც ჩვენ წინაპართ გამოუკვლევიათ, უცვნიათ, შეუტყვიათ, ის უნდა ვიცოდეთ, ის უნდა შევიტყოთ, ე.ი. უნდა ვისწავლოთ, ის, რაც იმათ კანონები აღმოუჩენიათ, ის, რაც იმათ მიზეზები აუხსნიათ, რომ წმინდა, ნამდვილი საგნის მსჯელობა გვქონდეს.

ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა.

ვინც უნდა იყოს – გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია, და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფლად.

გამგებელნი სახელმწიფოს ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად,

პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო. სწორედ მოგახსენოთ, მთელი პოლიტიკური ისტორია ევროპისა ამ ორთა მოძღვრებათა ერთმანეთთან ბრძოლაა და სხვა არაფერი. ყოველივე სხვა მოძღვრება თითქმის აქ მიდის და აქედამ მოდის.

ერისა და სარწმუნოების შესახებ

მამული და ეროვნობა, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-თეისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი მტრისა წინაშე.

ქართველობავ, გაისარჯე, თუ გინდა, რომ მამა-პაპათა ნათქვამისამებრ შვილი მამასა სჯობდეს და მომავალი – აწმყოს.

ერი თავის გმირების ცხოერებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს, და აგრეც არის, საცა ერი ერობს.

ეროვნობის უფლებას სახელმწიფოში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, თავისი ცალკე მოედანი უნდა ეჭიროს.

ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცს იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია.

ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათას გვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-გვაროდაც

დიდიაო.

ქართველი გულიც უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

ქართველიც იმისთანა კაცია, როგორიც სხვა, და ამიტომაც არა რა კაცებური არ უნდა ეუცხოებოდეს.

ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც, ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა.

ქართველ კაცს ისე გადამეტებით უყვარს თავისი სამშობლო, რომ სამშობლოს შესახებ ცუდის გაგონებას პირად შეურაცხყოფათა სთვლის და მძაგებელს არ შეარჩენს ცუდს სიტყვას.

ქართლის ქვეყნისა ვართ შვილნი,
ქართლის ძუძუთი გაზრდილნი.
მაშ მოდით, ქართველნო, ძმობით...
ვიშრომოთ ჩვენთვის ერთობით...!

ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად დაწყებულა.

ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღეველობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“. უამისოდ ჩვენი ცხოერება ერთს წუთსაეე მოისპობოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლაერი „ჩვენ“ წამოადგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარ „მეს“ უკან დააყენებდა.

ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც

უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

ჭეშმარიტად ქველმოქმედი მამულიშვილის გულკეთილობას სამსღვარი არა აქვს.

ჭეშმარიტი მამულიშვილი ქვეყნის სიყვარულით აღტყინებული იბრძვის, მეცადინეობს, მხნეობს, საქმობს, და ჯილდოდ მარტო იმას ელის, რომ ჩემი სინიდისი მეტყეისო, „თუმცა წვალებით ვიცხოერეო ამ სოფლად, მაგრამ ჩემი ცხოერება უქმად არ გამიტარებია, შეძლებისამებრ ჩემთა მოძმეთათვის სიკეთე მომიტანიაო“. დამიჯერეთ, ძალა ქვეყნისა ამისთანა კაცებშია და არა იმათში, ვინც ყვირის: რაცა ვარ, მე ვარო.

ერის ერობა მარტო მიწასა და გუთანზეა დამოკიდებული.

ერი მკვიდრი ბურჯია ქვეყნისა.

ერის სიბერე ერის აღგეაა დედამიწის ზურგიდამ. შორს ჩვენგან სიბერე!

ეროვნობა და სახელმწიფო ადვილად მოსათავსებელნი არიან ერთმანეთში და საცილობელი, ერთმანეთის დამაბრკოლებელი არა აქვთ-რა. ამას მარტო ღრმად დაკვირვება უნდა, ხალასი გული და მიუდგომელი ჭკუა.

ვისაც გული აცრუებული აქვს თავის ვინაობაზედ, თავისიანობაზედ, ვისაც თავისი უარ-უყვია, გულიდამ ამოუღია, დავიწყებას მიუცია, ის სხვისას ვერ შეითვისებს, ის სხვისას ვერ უერთგულებს. ტყუილი შრომაა, ტყუილი ცდაა. ეგ კიდევ არაფერი, რომ შრომა და ცდა ტყუილია, საქმე იმაშია, რომ მაგ შრომით, მაგ ცდით ერთს აკლებთ და მეორეს არა ჰმატებთ. ტყუილუბრალოდ იღუპება მთელი მოზარდი თაობა, იღუპება ქვეყანა.

უარ-ყოფა ეროვნულის თავისებურობისა არავის

ჩაუვლის დაუსჯელად.

რა არის სიმდიდრე ერისა? ასში და ათასში ერთის ოქროში ჯდომა, თუ ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ყველასი? ჩვენ უკანასკნელი გვგონია და ეგ უკანასკნელია, ჩვენის ფიქრით, ერთად-ერთი საწყაო ერის სიმდიდრისა.

სათავე წარმატებისა ერს თვითონ თავის საკუთარს სულიერს და ხორციელს არსებასა და აგებულებაში აქვს, თავის საკუთარს ჩვეულებასა და განწყობაში, თავის საკუთარს ცხოერებასა და ისტორიულ მსვლელობაში.

თუ ეკონომიურად წელში გაიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგერჩება, ვერავინ წაგვართმევს.

უომრად ნუ დავმარცხდებით.

ყველამ ვიცით, საქართველო ერთი უმდიდრესი, უმშვენიერესი და ჰაეით შეზავებული კუთხეა მსოფლიოსი. თვით ერიც, ვით მისი კოხტა და ტურფა სამშობლო, აგრეთვე შემკულია გარეგნობით და შინაგან, სულიერ ძალთა აღმატებულებით; ნიჭიერება, გონიერება, ლმობიერება, ვაჟკაცობა, გამბედაობა, შეწყნარება, ჩაგრულთ სიყვარული, პურადობა და მრავალი ამგვარი სათნოება იმ თავითვე ქართველის უეჭველი ღირსებაა.

ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, – გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი თუ ქართლელი, – ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია.

მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი.

რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რაღამ გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით – იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი... „სილბო გექონდა ნაქსოვისა“ – ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ – ვით მეომრებს და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი...

ყველამ უნდა დააჩუმოს თავზე ხელაღებული „მე“, საცა სასახელო და სადიდებელი „ჩვენ“ უნდა ჰღაღადებდეს.

ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა; ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნობის შერჩენისა და ხსნისათვის.

ძველთაგანვე ორი ძვირფასი, წმინდა, ჭირში და ლხინში მანუგეშებელი წიგნი ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს; ეს ორი წიგნი იყო: სახარება და „ვეფხვის-ტყაოსანი“. ერთში იხატებოდა ჩვენი რჯული, სარწმუნოება; მეორეში – ჩვენი ერობა, ქართველობა. ამ ორის წიგნით აღზრდილან ჩვენი წინაპრები. ამ ორის წიგნით გამხნევებულან, როდესაც გარეშე ანუ შინაგან განსაცდელი მოადგებოდათ...

ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრელი და საზრუნველია. აქ არაეისას ძრახვას და საყვედურს არ ეერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის.

ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენი ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენის სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის, და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს – გულიც აქ არის. თუ სიყვარული გაქვს – სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სად?

ოდითგანვე ქართველისათვის ორი გზა იყო: ან ქრისტიანობა, ან არა და ვაჟკაცური სიკვდილი იმავე ქრისტიანობისათვის, ან ქართველობა, ან არა ხმლის პირზედ გულის შეთლა. რომ იმათ ქრისტიანობაც და ქართველობაც ჩვენ შეურეველად გადმოგვცეს, ამას დღევანდელი დღე გვიმტკიცებს.

ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს, და აგრეც არის, საცა ერი ერობს.

ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა კარგად იციან, რომ მათი ქება თითონ საქმეა და არა წამ-და-უწუმ ჩხავილი, მე ასეთი ვარო.

ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით... მაშ „მხნე იყავ და გაძლიერდი!...“

ბოლოთქმა

ეს ნაშრომი – ილია ჭავჭავაძის სასოფლო-სამეურნეო მიზანთსახვაში ბოლომდე ჩაწვდომის და, აქედან გამომდინარე, სადღეისო ძირითად მიზანთა ანალიტიკური დაფორმულების ცდა – საქართველოს, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის სიყვარულითა და მოვალეობის განცდით დაიწერა. მასზე ფიქრს აკვალიანებდა და აძლიერებდა პასუხისმგებლობა დროთა სვლაზე გამარჯვებული ქართველის – ილია ჭავჭავაძის – ლანდისა და, აგრეთვე, მომავალი თაობების წინაშე. ღრმად მწამს, რომ წინაპართა და შთამომავალთა კავშირი სწორედ ამგვარ ურყევ ერთობას დაეფუძნება.

ილია ჭავჭავაძეს დიდად სწამდა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა, ქართველი გლეხკაცის უნარ-ჩვევების ტრანსფორმაციის უნარიანობა ახალ ეითარებაში, რომელსაც საფუძველი უნდა ჩაეყარა ერთიანი საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებები მიწასთან ქართველთა მარადიული ურთიერთობის თავისებურებათა თაობაზე დღეანდელი გადასახედიდან ისეთივე აქტუალურია, როგორც იმ დროს, როცა ისინი გამოითქმოდნენ.

საქართველო ისეთივე სიძლიერითა და სიმძაფრით უნდა გვიყვარდეს, როგორც ეს ერის მამას ხელეწიფებოდა. მამულსაც იმ დიდი განცდით და რუდუნებით უნდა მივუდგეთ, რადგან ქართველს სხვა სამკვიდრო არ აქვს, არც არასდროს ჰქონია და არც ექნება!

პაატა კოღუაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ილია ჭავჭავაძე** – თხზ. სრული კრებული 10 ტომად. პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. IV, წერილები სახალხო განათლების საკითხებზე, 1955; ტ. V, საქართველოს მატიანე, 1955; ტ. VII, წერილები სახალხოდ მეურნეობის საკითხებზე, 1956; ტ. VIII, საზოგადოებრივი ცხოვრების დღიური, 1957.
2. **თემურ ლლონტი** – ილია ჭავჭავაძე და საქართველოს სოფლის მეურნეობა. თბილისი, 1988.
3. **„ამას ვამბობთ და ვღალადებ"** – **ილია ჭავჭავაძე.** რედაქტორ-შემდგენლები: გ. ლობჟანიძე, გ. გაბუნია, ქუთაისი, 1997.
4. **ოთარ ჭილაძე** – ბედნიერი ტანჯული. თბილისი, 2003.
5. **თამაზ ჭილაძე** – წინასწარმეტყველი, წიგნიდან: „პირველი იყო სიტყვა". თბილისი, 1993.
6. **არჩილ ჯორჯაძე** – ჩემი აზრები და ფიქრები. რედაქტორ-შემდგენლები: გ. გაბუნია, პ. კოღუაშვილი. თბილისი, 2000.
7. **წმინდა ილია მართალი განათლებისა და სოფლის მეურნეობის შესახებ** – შემდგენელი კარლო ბუაჩიძე. „მწიგნობარი", თბილისი 2007.
8. **ვახტანგ გოგუაძე** – ერი გულადი, პურადი. თსუ, 1976.
9. **აკაკი ბაქრაძე** – ილია ჭავჭავაძე. თბილისი, „პეგასი", 2006.
10. **იაკობ გოგებაშვილი** – ქართული მიმართება. რჩ. თხზ., ტ. 2, თბილისი, 1990.
11. **ანდრო ლეკიაშვილი** – შენ ხარ ვენახი. თბილისი, 1972.
12. **ლევან სანიკიძე** – „მესამე დასის" საქართველო. თბილისი, „მერანი", 1989.
13. **ჯანსულ ღვინჯილია** – ქართველი კაცის სინამდვილე.

თბილისი, „საქართველო“, 1992.
14. **არქანჯელო ლამბერტი** – სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938.
15. **ვახტანგ გურული** – ილიადან ილიამდე. თბილისი, „ინტელექტი“, 2006.
16. **ელიბერდ ბატიაშვილი** – საუბრები ილია მართალზე. თბილისი, „ინტელექტი“, 2012.
17. **დემურ ბახტაძე, პაატა კოღუაშვილი** – ქართველთა კვების კულტურა. თბილისი, „ინოვაცია“, 2009.
18. **ნოდარ ნათაძე, პაატა კოღუაშვილი** – მიწის გაყიდვა საქართველოს მომავლის გაყიდვაა. //ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №5, 2012.
19. **პაატა კოღუაშვილი** – საქართველო – ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. თბილისი, „ინოვაცია“, 2009.
20. **პაატა კოღუაშვილი** – „სამკვიდროს გულიდამ ამოღება ძნელია“ – ილია ჭაჭავაძე. თბილისი, „უნივერსალი“, 2007.
21. **პაატა კოღუაშვილი, გიორგი ზიბზიბაძე** – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თსუ, 2010.
22. **პაატა კოღუაშვილი, ნოდარ ნათაძე** – მიწის გამყიდველები საქართველოს ყიდიან. //ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, – XXI საუკუნის საქართველო, №4, 2012.
23. **პაატა კოღუაშვილი** – არ დაივიწყოთ გლეხკაცი. //ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, – XXI საუკუნის საქართველო, №6, 2012.

წიგნი დაიბეჭდა ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი მეცენატების,
ბატონების მამუკა ხაზარაძისა და სოსო ფხაკაძის ფინანსური მხარდაჭერით.
ავტორი მადლობას უძღვნის მათ გამოჩენილი გულისხმიერებისა და დახმარებისათვის.

წიგნის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემისათვის მადლობა მინდა გადავუხადო გამომცემლობა „მერიდიანის“ თავკაცს, ბატონ კახა რუსიძეს და მთელ კოლექტივს.

ტექ. რედაქტორი
კახაბერ რუსიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ერეკლე კოლუაშვილი
თეიმურაზ ქოჩლაძე
ნინო ჩიხლაძე

კორექტორი
ალეკო ალადაშვილი

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. 47;
☎ 2 39 15 22
e-mail: merdiani777@gmail.com